

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 8 (307)
აგვისტო
2022

25 წელი უჩინარ...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№8(307)

აგვისტო

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფელერაციიდან

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი

ახალი შესაძლებლობები ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლებისთვის 3

ბაფის საერთო (27-ე) კრებასა და არჩევნებთან დაკავშირებული

ინფორმაცია წევრებისათვის 5

ინფორმაცია ბაფის წევრებისათვის წესდებაში ცვლილებების (პროექტი)

შესახებ 8

ბაფის გამოცდების ცხრილი (2023 წლის იანვარი) 21

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგულირება უძღვება გაპი ალკვერდაშვილი

მოდული – საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების
მოდულის გამოცდის შემფასებელი – ნაწილი 2 23

მოტივაციის თეორიები. მოთხოვნილებების იერარქიის მასლოუს თეორია.

მოდული „ბუღალტერი ბიზნესში“ 42

საპა ძაძაძია

ACCA ხაზს უსვამს მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებს შორის

შესაბამისობის საჭიროებას 47

ფირმების წარმატება, რომლებიც კრიპტოვალუტების პაკერებისგან დაცვას

უზრუნველყოფენ 49

ოფიციალური მასალები 51

კითხვა-პასუხი 53

ინფორმაცია გირჟებიდან 59

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი

წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97

რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB0600000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი

კორექტურა: თ. ცქიტიშვილი

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი

ახალი შესაძლებლობები ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლებისთვის

რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო მეწარმეებს ხშირად ფინანსური ანალიზისა და მართვის სუსტი უნარები აქვთ. მათ უჭირთ ჰქონდეთ საკუთარი ბიზნესის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, იქნება ეს ბიზნესის ზრდა თუ მდგრადობა. მეწარმეებს არ აქვთ უნარი გააკეთონ ადეკვატური პროგნოზები, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ინვესტიციები და ოპერაციების ოპტიმიზაცია სამომავლო ზრდაში. ბევრს არ გააჩნია განათლება ბიზნესსა და ფინანსურ მენეჯმენტში იმის მიღმა, რაც მათ ისწავლეს, როგორც თვითნასწავლმა მეწარმეებმა. ასევე, რეგიონებში მდებარე მეწარმეებს არ გააჩნიათ ბუღალტრული აღრიცხვის სრულფასოვანი სისტემები და მათი ცნობიერება არსებულ საბუღალტრო პროგრამებსა და მათი გამოყენების უპირატოსებებზე დაბალია. აქედან გამომდინარე, მათ ცოდნა და გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება უკეთესი ფინანსური ანალიზისა და მენეჯმენტს საშუალებით გააუმჯობესონ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა მწირია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ახალი რეგულაციის თანახმად მცირე და საშუალო ბიზნესი საგადასახადო დეკლარირების წარდგენასთან ერთად, ვალდებულია წარადგინოს ფინანსური ანგარიშგებაც. შესაბამისად მეწარმეებს უფრო მეტად მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად. საბუღალტრო სერვისის მიმწოდებლებს (ASP) უნდა ჰქონდეთ სერვისები, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური მართვის უნარები SARAS-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) თანამშრომლობს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტთან (RSMEDP) ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლების შესაძლებლობებისა და მომსახურების შეთავაზების გასაძლიერებლად. ბაფი დაეხმარება თავის წევრებს რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გაუმჯობესებული ფინანსური საკონსულტაციო სერვისების შეთავაზებაში.

ამის მიღწევა შესაძლებელია ASP-ების სერვისის შეთავაზების გაფართოებით ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვიდან ფინანსურ საკონსულტაციო სერვისებამდე მათი შესაძლებლობების გაძლიერების გზით და ამ გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზებით რეგიონებში მცირე და საშუალო მენარმეებზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ბაფი:

- შეიმუშავებს საბუღალტრო სერვისების მიმწოდებლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების სატრენინგო პროგრამას, რომელშიც ჩაერთვებიან 60-80-მდე საბუღალტრო სერვისების მიმწოდებლები საქართველოს რეგიონებიდან.
- მოახდენს 30-მდე საბუღალტრო სერვისების მიმწოდებლის ხელშეწყობას, რომლებიც გაუმჯობესებულ სერვისებს შესთავაზებენ 75-მდე ადგილობრივ მცირე და საშუალო სანარმოს.

მცირე და საშუალო მენარმეებსა და ფიზიკურ პირებს გაეზრდებათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ისარგებლებენ ფინანსური სერვისებითა და პროდუქტებით.

ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლების კვალიფიკაციის ამაღლების სატრენინგო პროგრამა იგეგმება საქართველოს ოთხ რეგიონში, კერძოდ: აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთსა და კახეთში. ტრენინგის ხანგრძლივობაა 15 საათი პრაქტიკული სავარჯიშოების და კითხვა-პასუხის ჩათვლით, რომელიც შედგება შემდეგი თემებისგან:

ფინანსური მოდელისა და ბიზნეს გეგმის საფუძვლები, ბიუჯეტირება და მმართველობითი აღრიცხვა, სასესხო კონსულტაცია, ბიზნესის ანალიზი, ეფექტური კომუნიკაცია, კრიზისების მართვა და რეაბილიტაციის პრაქტიკა.

სატრენინგო კომპონენტის წარმატებით დასრულების შემდეგ, გადამზადებულ ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლებს ექნებათ შესაძლებლობა გააფართოვონ თავიანთი მომსახურების სპექტრი და მცირე და საშუალო მენარმეებს შესთავაზონ ფინანსური საკონსულტაციო სერვისები. მათ, ვინც გამოავლენს მზადყოფნას და მალაღ მოტივაციას და წარმოაჩენენ წინასწარ განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობას, შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ მომსახურების სუბსიდირების მოდელში და წარადგინონ განაცხადის ფორმები ბაფში. შერჩეული კანდიდატები გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ ბაფთან გააფორმებენ ხელშეკრულებას ფინანსური საკონსულტაციო სერვისების სუბსიდირების შესახებ შვიდი თვის ვადით.

აღნიშნული ინიციატივის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მისი მდგრადობა და უწყვეტობა ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვით, რომლებიც შეავსებს უკვე განხორციელებულ აქტივობებს მიკრო და მცირე სანარმომების განვითარებისთვის. გარდა ამისა, მარკეტინგული აქტივობები გაზრდის მოთხოვნას ზემოთ აღნიშნულ სერვისებზე და შეცვლის ამ სერვისების აღქმას რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო მენარმეებში.



ბაფის საერთო (27-ე) კრებასა და არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია წევრებისათვის

ბაფის გამგეობის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი #7/27.07. 2022), მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, შაბათს, 12 საათზე, მოწვეულია ბაფის საერთო (27-ე) კრება. კრება ჩატარდება ონლაინფორმატში.

საერთო კრების დელეგატების რაოდენობა განსაზღვრულია 370 წევრით. ბაფის ყველა წევრს აქვს უფლება, დარეგისტრირდეს კრების დელეგატად, დადგენილი წესების გათვალისწინებით.

კრების დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 2022 წლის 10 ოქტომბრიდან და დასრულდება 20 დეკემბერს. რეგისტრაცია შესაძლებელია ბაფის მეილზე (baf@baf.ge) წერილის გამოგზავნით, განაცხადის შემოტანით ბაფის კანცელარიაში ან სატელეფონო ზარის მეშვეობით (235 01 57; 235 43 97, შორენა გამიაშვილი).

გამგეობის წევრობის კანდიდატების განაცხადების მიღებისა და რეგისტრაციის თარიღად განისაზღვრა მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან 9 დეკემბრამდე პერიოდი.

საერთო კრების დღის წესრიგი

- ✓ გამგეობის თავმჯდომარის ანგარიში;
- ✓ სარევიზიო კომისიის ანგარიში;
- ✓ დისკუსია წარმოდგენილი ანგარიშების ირგვლივ, საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შეფასება;
- ✓ ბაფის ღვაწლმოსილი წევრების დაჯილდოება;
- ✓ შესვენება;
- ✓ ცვლილებები ბაფის წესდებაში;
- ✓ გამგეობის თავმჯდომარის არჩევა;
- ✓ გამგეობის წევრების არჩევნები;
- ✓ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

გამგეობის წევრების არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია

ბაფის ყველა წევრს აქვს უფლება, დარეგისტრირდეს გამგეობის წევრობის კანდიდატად და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. გამგეობის წევრობის კანდიდატებმა განაცხადები უნდა გააკეთონ წესდების (მუხლი 9) ცვლილებების პროექტით გათვალისწინებული

მოთხოვნების (სეგმენტების) შესაბამისად და 2022 წლის 9 დეკემბრამდე ბაფის სამდღეო ჩაბარონ:

- ✓ განცხადება კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილის შესახებ;
- ✓ პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ბაფის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ;
- ✓ რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და ფედერაციის კორპორაციული წევრის შემთხვევაში);
- ✓ სარეკომენდაციო/მხარდაჭერის წერილი ბაფის არანაკლებ 5 წევრისაგან (ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორების შემთხვევაში).

ინფორმაცია ბაფის წესდებაში ცვლილებების (პროექტი) შესახებ

განხილვისთვის ვაქვეყნებთ ბაფის გამგეობის მიერ მომზადებულ წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტს, რომელიც მოცემულ პერიოდში წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 24 დეკემბერს საერთო კრებას წარედგინება. საერთო კრების მიერ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, გამგეობის წევრების არჩევნები ჩატარდება წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად.

ცვლილების საფუძველი და მიზანშეწონილობა

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFAC) 2019 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „*საქმიანობაზე ფოკუსირება - პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის ეფექტური მართვის პრინციპები*“, რომელშიც მოცემულია მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის რეკომენდაციები (სახელმძღვანელო თარგმნილი და განთავსებულია ბაფის ვებგვერდზე).

რეკომენდაციები, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებული და მისი ინფორმაციის მომხმარებელი სტრუქტურების წარმომადგენელთა მმართველობაში ჩართულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის გამგეობის სხდომებზე გამართული მსჯელობების შედეგად მიღებული იყო გადაწყვეტილება, მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციების დანერგვის ღონისძიებები დაიწყოთ ბაფის გამგეობის შემადგენლობის არჩევის წესების განახლებით.

ვიმედოვნებთ, მმართველობის განვითარების საკითხზე სამსჯელოდ გამოტანილი ცვლილებების პროექტი სწორად იქნება გაგებული, რადგან ბაფის სტრუქტურა და მმართველობის წესები საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაშია. ამის შედეგია ბაფის აღიარება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. ბაფი, თვითშეფასებითა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) შეფასებით, მდგრადი განვითარების პროფესიულ ორგანიზაციას წარმოადგენს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მოწინავეა IFAC-ის წევრ 180 ორგანიზაციას შორის. სწორედ აღნიშნული მიღწევები გვაძლევს საფუძველს, განვაგრძოთ განვითარება და ეტაპობრივად დავნერგოთ საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციები.

ბაფის წესდების ცვლილებების პროექტით წარმოდგენილი გამგეობის წევრების არჩევის წესი (ძირითადი ცვლილებები შეეხება წესდების მე-9 მუხლს):

9.6 გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:

- ✓ 1 წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ✓ 2 წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;
- ✓ 2 წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან;
- ✓ 6 წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტორული ფირმებიდან (გარდა დიდი ოთხეულისა) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან.

9.7 გამგეობის წევრების 9.6 პუნქტში განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით ასარჩევად, გამგეობის წევრობის კანდიდატების მიერ ფედერაციის სამდივნოში წარდგენილ განაცხადებს იხილავს და სეგმენტების მიხედვით, საარჩევნო ბიულეტენების მომზადების რეკომენდაციას გასცემს საკონსულტაციო საბჭო.

9.8 გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) ასარჩევ კანდიდატებს შორის გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს 9.6 პუნქტში, განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით. გამარჯვებულად ჩაითვლება უპირატესი ხმის მქონე კანდიდატი.

.....

9.14 გამგეობის ერთი წევრი ინიშნება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდეგში - სამსახური) წარდგინებით.

9.15 სამსახურის წარმომადგენელი კანდიდატის გამგეობის წევრად დანიშვნის უფლება დელეგირებული აქვს გამგეობას.

9.16 სამსახურის წარმომადგენლის გამგეობის წევრად დანიშვნის წესს შეიმუშავებს გამგეობა და ამტკიცებს საერთო კრება.

9.17 დანიშნული გამგეობის წევრის უფლებამოსილება წყდება გამგეობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დღეს. ახლადარჩეულ გამგეობას, მისი არჩევიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, წარედგინება სამსახურის 2 კანდიდატურა დასანიშნად. გამგეობა უფლებამოსილია, მოტივირებული არგუმენტით უარი განაცხადოს სამსახურის მიერ წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე. ასეთ შემთხვევაში, ახალი კანდიდატურების წარდგენა მოხდება წინა კანდიდატებისათვის უარის თქმიდან 30 კალენდარულ დღეში.

9.18 დანიშნული გამგეობის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის ფედერაციის წევრი. მის მიმართ, საერთო კრების მიერ დამტკიცებული გამგეობის წევრის დანიშვნის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, მოქმედებს არჩეული გამგეობის წევრებისთვის დადგენილი უფლება-მოვალეობები.

ინფორმაცია ბაფის წევრებისათვის წესდებაში ცვლილებების (პროექტი) შესახებ

ვაქვეყნებთ ბაფის გამგეობის მიერ მომზადებულ წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტს განსახილველად, რომელიც განხილვის პერიოდში წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 24 დეკემბერს საერთო კრებას წარედგინება.

ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებები და წინადადებები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მეილზე: baf@baf.ge მიმდინარე წლის 9 დეკემბრამდე.

ბაფის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი

განმარტება:

1. მოქმედი წესდებიდან ამოსაღები მუხლები მონიშნულია წითლად;
2. წესდებაში ჩასამატებელი მუხლები (ახალი რედაქცია) მონიშნულია ყვითლად.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია რეგისტრირებული კავშირი

წ ე ს დ ე ბ ა

§1. ზოგადი დებულებები

- 1.1 „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ რეგისტრირებული კავშირი (შემდგომში - „ფედერაცია“) წარმოადგენს საქართველოს ბუღალტერთა კლუბის ბაზაზე შექმნილ არაკომერციულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.2 ფედერაცია წარმოადგენს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილ საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებულ წარმონაქმნს, რომელიც საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
- 1.3 ფედერაცია პასუხს არ აგებს თავისი წევრების ვალდებულებებისათვის, ასევე არ აგებენ პასუხს მისი წევრები ფედერაციის ვალდებულებებისათვის. ფედერაციის არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან.
- 1.4 ფედერაციის სრული სახელწოდებაა:
 - ქართულად: „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ რეგისტრირებული კავშირი.
 - ინგლისურად: *Georgian Federation of Professional Accountants and Auditors.*

- 1.5 ფედერაციის შემოკლებული სახელწოდებაა:
 - ქართულად „ბაფი“
 - ინგლისურად GFPAA
- 1.6 ფედერაციის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.
- 1.7 ფედერაციის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. # 61.

§2. ფედერაციის დამფუძნებლები

2.1 ფედერაციის დამფუძნებლების მონაცემები მოცემულია # 1 დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე წესდების განუყოფელ ნაწილს.

§3. მიზნები და ამოცანები

- 3.1 ფედერაციის შექმნისა და მისი საქმიანობის მიზანი არის ბუღალტერთა და აუდიტორთა ძალისხმევის გაერთიანება:
 - საქართველოში კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს რეგულირებაში მონაწილეობისათვის
 - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის;
 - ბუღალტრული აღრიცხვასა და აუდტში საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვისათვის;
 - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებისათვის;
 - ფედერაციის წევრთა საერთო ინტერესების დაცვისათვის.
- 3.2 ფედერაცია დასახული საერთო მიზნის მისაღწევად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:
 - გამოხატავს თავისი წევრების ლეგიტიმურ ინტერესებს სახელმწიფო აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში;
 - წარადგენს წინადადებებს სახელმწიფო აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე;
 - ხელს უწყობს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ნორმების, სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვასა და განვითარებას ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე;
 - პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეიმუშავებს მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტური საქმიანობის საკითხებზე;
 - ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და დახვეწას ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში, ხანგრძლივი რეგულარული პროგრამების დაფინანსებასა და ზედამხედველობას;

- შეიმუშავებს და ნერგავს საერთო ნორმებსა და სტანდარტებს თავისი წევრებისათვის სერთიფიკატების გასაცემად;
- შეიმუშავებს და ნერგავს ბუღალტერთა პროფესიული ეთიკის კოდექსს და მუდმივ კონტროლს უწევს მის დაცვას;
- ზრუნავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიული დონის ასამაღლებლად, მისი პოპულარიზაციისათვის; უზრუნველყოფს ფედერაციის წევრების მიერ მისი წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, წევრებისათვის ეკონომიკური სექტორის კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კონფერენციების, სემინარების, პროფესიული პუბლიკაციების გზით. ფედერაცია შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს თავისი წევრების სოციალურ დაცვას;
- მონაწილეობს სამეწარმეო და სხვა ტიპის მომგებიან საქმიანობაში ისეთი საწარმოების, ორგანიზაციებისა და ერთეულების ჩამოყალიბების გზით, რომლებსაც ექნებათ იურიდიული პირის სტატუსი;
- ქმნის ფედერაციის მიზნობრივ ფონდებს ფედერაციის მიზნებსა და ამოცანებთან შეხამებული საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და სოციალური გარანტიების განსახორციელებლად;
- აერთიანებს ბუღალტრებისა და აუდიტორების, ფედერაციის წევრების ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს მათი საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შესაქმნელად;
- შეიმუშავებს აუდიტის ხარისხის კონტროლის სტანდარტებს და ახორციელებს ხარისხის კონტროლის პროცედურებს (ამოღებულ იქნეს!);
- უზრუნველყოფს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობისადმი განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებას.
- ახორციელებს კანონით ნებადართულ და აუკრძალავ ნებისმიერ საქმიანობას, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას.
- ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას მისი კომპეტენციის ფარგლებში

3.3 ზოგიერთი საქმიანობა, რომლის ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, ფედერაციას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელება ფედერაციას შეუძლია ნებართვის მიღების მომენტიდან.

§4. ფედერაციის წევრობა

- 4.1 ფედერაციაში დაშვებულია ინდივიდუალური (ნამდვილი და ასოცირებული) და კორპორაციული წევრობა.
- 4.2 ფედერაციის ნამდვილი წევრები არიან ფედერაციის მიერ აღიარებული პროფესიონალი ბუღალტრები და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობით სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებული პირები, ასევე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი

- პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულნი არიან პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად ან მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნის იდენტურ სერტიფიცირებულ პირებად.
- 4.3 ფედერაციის ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ პირები:
- ა) რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური (პროფესიული) განათლება ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის ან ეკონომიკის სხვა სფეროში;
 - ბ) რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური პროფილით;
 - გ) რომლებიც ჩართული არიან ფედერაციის პროფესიონალ ბუღალტერთა სასერტიფიკაციო პროგრამაში;
 - დ) რომელთაც გავლილი აქვთ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მოსამზადებელი კურსები;
 - ე) რომლებიც მოღვაწეობენ ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში.
- 4.4 წევრობის კანდიდატის გამოცდილების, კომპეტენციის, ფინანსური პასუხისმგებლობის, პროფესიული შესაძლებლობებისა და სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნილებების დადგენის წესსა და მათ შესახებ დებულებას ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.
- 4.5 პირი არ შეიძლება იყოს ან გახდეს ფედერაციის ნამდვილი წევრი, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ფედერაციის გამგეობის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.
- 4.6 ფედერაციაში გაწევრიანება ხდება საწევრო კომიტეტის გადაწყვეტილებით
- 4.7 საწევრო კომიტეტს ხმათა უმრავლესობით შეუძლია მიიღოს წევრად ან უარი უთხრას წევრობის კანდიდატს. უარყოფილმა კანდიდატმა უნდა მიიღოს ნათელი განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ ეთქვა უარი. მას უფლება აქვს ხელახლა შეიტანოს თხოვნა წევრობის შესახებ ან მიმართოს ფედერაციის გამგეობას.
- 4.8 ფედერაციის კორპორაციული წევრი შეიძლება გახდეს აუდიტური ფირმა, რომელსაც გავლილი აქვს ფედერაციის გამგეობის მიერ დადგენილი გაწევრიანების პროცედურები.
- 4.9 კორპორაციული წევრი ფედერაციის წესდებით დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით. საერთო კრებაზე კორპორაციულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
- 4.10 კორპორაციული წევრი სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც ნამდვილი წევრი.
- 4.11 ფედერაციის წევრობა შეიძლება შეჩერებული იქნეს წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. წევრობის შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერაციის გამგეობა საწევრო და პროფესიული ეთიკისკომიტეტის წარდგინებით.
- 4.12 ფედერაციის წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით გავიდეს წევრობიდან გასვლის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან ერთი თვის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში ის ჩვეულებრივ ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

- 4.13 წესდების დებულებების დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის წევრების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სანქციები გაფრთხილების, საყვედურის ან ფედერაციიდან გარიცხვის სახით.
- 4.14 ფედერაციიდან წევრის გარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს მის მიერ წესდების დებულებათა სისტემატური შეუსრულებლობა ან ფედერაციის საწესდებო საქმიანობისათვის შეუფერებელი მოქმედებების განხორციელება, აგრეთვე, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც დისკრედიტაციას უწევს ბუღალტრისა და აუდიტორის საქმიანობას. კორპორაციული წევრისმიმართ გასათარებელ ადმინისტრაციულ ზომებს და პროცედურებს ადგენს გამგეობა.
- 4.15 ფედერაციის წევრის გარიცხვას ახორციელებს ფედერაციის გამგეობასწავრო კომიტეტის წარდგინებით. ფედერაციის წევრს უფლება აქვს გაასაჩივროს მისი გარიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

§5. ფედერაციის წევრების უფლება-მოვალეობები

- 5.1 ფედერაციის წევრები უფლებამოსილნი არიან:
- არჩეული იქნენ ფედერაციის საქმიანობის მმართველ ორგანოებში;
 - მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის საერთო კრების საქმიანობაში;
 - დაასახელონ გამგეობის წევრობის კანდიდატები, ხმა მისცენ პერსონალურად და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ან წერილობითი საარჩევნო ბარათით გამგეობის არჩევნების დროს, აგრეთვე წესდების ნორმებისა და წესების დადგენის დროს, წესდების ნორმებსა და წესებში ცვლილებების შეტანის დროს;
 - წინადადებები შეიტანონ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სახელმწიფო ნორმებისა და სტანდარტების შემუშავების პროცესში;
 - მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის სხვა ღონისძიებებში, კერძოდ, მოსამზადებელ სემინარებში, ფედერაციის ეთიკური კოდექსის შემუშავებაში და სხვა;
 - ხელი მიუწვდებოდეთ უახლოეს პროფესიულ ინფორმაციაზე სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის, სპეციალურ ლიტერატურაზე ხელმოწერის გზით.
- 5.2 ფედერაციის წევრები ვალდებული არიან:
- გადაიხადონ საწევრო გადასახადი ფედერაციის გამგეობის მიერ დაწესებული ოდენობით;
 - დაიცვან პროფესიული ეთიკისა და ფედერაციის საწესდებო ნორმები;
 - ჩააბარონ ფედერაციის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკაციო გამოცდა (ნამდვილი წევრებისათვის);
 - დააკმაყოფილონ ფედერაციის მოთხოვნები პროფესიული ჩვევების მუდმივი სრულყოფის მხრივ;
 - გააგრძელონ თავისი პროფესიული მოღვაწეობა ფედერაციის წევრობის პირობების ამსახველი მე-4 მუხლში ჩამოთვლილ სფეროებში.
 - დააკმაყოფილონ სხვა მოთხოვნები, რომელსაც დაადგენს ფედერაცია მისი საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციაში წევრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

- 5.3 ფედერაციაში შესვლისთანავე ყოველ წევრს უფლება აქვს მიიღოს წევრობის დამადასტურებელი მოწმობა. მოწმობა გაიცემა მხოლოდ პირველი შესატანისა და მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის შეტანის შემდეგ. წევრობის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, მოწმობა უნდა დაუბრუნდეს ფედერაციის სამდივნოს მოთხოვნისთანავე.
- 5.4 გარდა წესდების ამ მუხლით დადგენილი ზოგადი უფლება-მოვალეობებისა, კორპორაციული წევრი ვალდებულია გაიაროს ფედერაციის გამგეობის მიერ დამტკიცებული განწვერიანებისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები და გადაიხადოს კორპორაციული საწევრო შენატანი. განწვერიანების საფასურსა და საწევრო შენატანის ოდენობას ადგენს გამგეობა.

§6. ფედერაციის ორგანოები

- 6.1 ფედერაციის ორგანოებია:
- ◆ ფედერაციის წევრთა საერთო კრება (შემდგომში - საერთოკრება);
 - ◆ ფედერაციის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა);
 - ◆ სარევიზიო კომისია;
 - ◆ საკონსულტაციო საბჭო.

§7. საერთო კრება

- 7.1 საერთო კრება წარმოადგენს ფედერაციის მართვის უმაღლეს ორგანოს.
- 7.2 საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ მაინც ან როცა ამას ფედერაციის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ფედერაციის წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის მითითებით.
- 7.3 საერთო კრების მოწვევის დროისა და ადგილის, წარმომადგენლობის ნორმების და დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავს ფედერაციის გამგეობა.
- 7.4 საერთო კრების მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრებს უნდა ეცნობოს ბეჭდვით ორგანოში ან ფედერაციის ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებით კრების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე მაინც.
- 7.5 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ფედერაციის დელეგირებული წევრების ნახევარი მაინც.
- 7.6 საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის შესახებ – ორი მესამედის უმრავლესობით. ფედერაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს.
- 7.7 იმ დელეგირებულ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობითი მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.
- 7.8 საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი საერთო კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.
- 7.9 საერთო კრების ჩატარების დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე და მდივანი.

§8. საერთო კრების კომპეტენცია

8.1 საერთო კრება უფლებამოსილია:

- ◆ განიხილოს და დაამტკიცოს ფედერაციის წესდება (წესდების ახალი რედაქცია), შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;
- ◆ აირჩიოს ფედერაციის თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის გამგეობის თავმჯდომარე;
- ◆ აირჩიოს ფედერაციის გამგეობა და სარევიზიო კომისია;
- ◆ შექმნას საკონსულტაციო საბჭო;
- ◆ შეცვალოს ფედერაციის მიზნები;
- ◆ დაამტკიცოს ფედერაციის გამგეობის ანგარიშები;
- ◆ მოისმინოს და დაამტკიცოს ფედერაციის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები;
- ◆ ფედერაციის გამგეობის წარდგინებით შეწყვიტოს ფედერაციის ტერიტორიული ფილიალების (ადგილობრივი წარმომადგენლობების) საქმიანობა;
- ◆ გადაწყვიტოს ფედერაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხები.

8.2 საერთო კრება ფედერაციის თავმჯდომარეს და გამგეობის წევრებს ირჩევს ფარული კენჭისყრით.

§9. გამგეობა

9.1 გამგეობას ირჩევს ფედერაციის წევრთა საერთო კრება 2 წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე.

9.2 გამგეობა შედგება გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილისა და გამგეობის წევრებისაგან. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები აირჩევიან გამგეობის წევრებიდან.

9.3 გამგეობა შედგება არაუმეტეს 12 არჩეული და ერთი დანიშნული წევრისაგან. გამგეობის წევრთა მონაცემები მოცემულია ¹² დანართში, რომელიც წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს (ამოსაღებია!).

9.4 გამგეობის თავმჯდომარეობის და გამგეობის წევრობის კანდიდატები კენჭს იყრიან პირადი განცხადების საფუძველზე. ეს პირები ვალდებული არიან საერთო კრების ჩატარებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე ფედერაციის სამდივნოს ჩააბარონ:

- ◆ განცხადება კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილის შესახებ; და
- ◆ პირადი ხელვა - სამოტივაციო წერილი, ფედერაციის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ;
- ◆ რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და ფედერაციის კორპორაციული წევრის შემთხვევაში);
- ◆ სარეკომენდაციო/მხარდაჭერის წერილი ფედერაციის არანაკლებ 5 წევრისაგან (ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორების შემთხვევაში).

- 9.5 გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) ასარჩევი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ♦ იყოს ფედერაციის წევრი (მინიმუმ ბოლო 2 წელი);
 - ♦ არ უნდა ჰქონდეს დარღვეული ფედერაციის წევრებისადმი ამ წესდების მე-5 მუხლით დადგენილი მოვალეობები;
 - ♦ იცნობდეს ბაფის წესდებას, მიმდინარე და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას; და
 - ♦ აცნობიერებდეს ფედერაციის წინაშე არსებულ გამოწვევებს.
- 9.6 გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:
- ♦ 1 წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
 - ♦ 2 წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;
 - ♦ 2 წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან;
 - ♦ 6 წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტორული ფირმებიდან (გარდა დიდი ოთხეულისა) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან.
- 9.7 გამგეობის წევრების 9.6 პუნქტში განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით ასარჩევად, გამგეობის წევრობის კანდიდატების მიერ ფედერაციის სამდივნოში წარდგენილ განაცხადებს იხილავს და სეგმენტების მიხედვით, საარჩევნო ბიულეტენების მომზადების რეკომენდაციას გასცემს საკონსულტაციო საბჭო.
- 9.8 გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) ასარჩევ კანდიდატებს შორის გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს 9.6 პუნქტში განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით. გამარჯვებულად ჩაითვლება უპირატესი ხმის მქონე კანდიდატი.
- 9.9 გამგეობის წევრობის კანდიდატებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად საერთო კრება ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას, 5 წევრის შემადგენლობით.
- 9.10 თუ კენჭისყრის შედეგად გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) ასარჩევ კანდიდატებს შორის ხმები თანაბრად გაიყო და შეუძლებელი გახდა გამარჯვებულის გამოვლენა, საერთო კრება ხელახლა უყრის კენჭს იმ კანდიდატებს, რომელთა თანაბრად გაყოფილი ხმების გამო ვერ გამოვლინდა უპირატესი ხმის მქონე კანდიდატი.
- 9.11 გამგეობის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ნებაყოფლობით საწყისებზე ანაზღაურების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამგეობის გადანაცვლებით გამგეობის წევრი დანიშნულია სხვა თანამდებობაზე ფედერაციაში. გამგეობის წევრზე ანაზღაურება შეიძლება გაიცეს საერთო კრების გადანაცვლებით.
- 9.12 მიუხედავად 9.11 მუხლის დებულებისა, გამგეობის წევრი ვალდებულია, დაესწროს გამგეობის სხდომებს და განსახილველ საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება და ხელი შეუწყოს სადავო საკითხზე კონსენსუსის მიღწევას. თუ გამგეობის წევრი პატივსაღები მიზეზის (ავადმყოფობა ან/და საქართველოში არყოფნა) გარეშე მონაწილეობას არ მიიღებს გამგეობის სამი (ბედიზედ) სხდომის მუშაობაში, მას შეუწყდება გამგეობის წევრის უფლებამოსილება. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში:
- ♦ ინფორმაცია გამოქვეყნდება ბაფის ვებგვერდზე, ფაქტის დადგომიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

- ♦ გამგეობის წევრის ჩანაცვლება არ მოხდება გამგეობის წევრების მორიგ არჩევნებამდე;
- ♦ გამგეობა ფუნქციონირებას გააგრძელებს უფლებამოსილი წევრებით.

9.13 გამგეობის წევრებს უნაზღაურდებათ:

- ♦ მოვალეობის შესრულების ფარგლებში აუცილებელი მივლინების ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში;
- ♦ ფედერაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში დახარჯული შრომა.

9.14 გამგეობის ერთი წევრი ინიშნება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდეგში - სამსახური) წარდგინებით.

9.15 სამსახურის წარმომადგენელი კანდიდატის გამგეობის წევრად დანიშვნის უფლება დელეგირებული აქვს გამგეობას.

9.16 სამსახურის წარმომადგენლის გამგეობის წევრად დანიშვნის წესს შეიმუშავებს გამგეობა და ამტკიცებს საერთო კრება.

9.17 დანიშნული გამგეობის წევრის უფლებამოსილება წყდება გამგეობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დღეს. ახლადარჩეულ გამგეობას, მისი არჩევიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, წარედგინება სამსახურის 2 კანდიდატურა დასანიშნად. გამგეობა უფლებამოსილია, მოტივირებული არგუმენტით უარი განაცხადოს სამსახურის მიერ წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე. ასეთ შემთხვევაში, ახალი კანდიდატურების წარდგენა მოხდება წინა კანდიდატებისთვის უარის თქმიდან 30 კალენდარულ დღეში.

9.18 დანიშნული გამგეობის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის ფედერაციის წევრი. მის მიმართ, საერთო კრების მიერ დამტკიცებული გამგეობის წევრის დანიშვნის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, მოქმედებს არჩეული გამგეობის წევრებისთვის დადგენილი უფლება-მოვალეობები.

9.19 გამგეობის დანიშნულ წევრთან დაკავშირებული ამ წესდების დებულებები ძალაში შედის გამგეობის წევრის დანიშვნის წესის დამტკიცების დღიდან.

§10. გამგეობის სხდომა

10.1 გამგეობის სხდომას იწვევს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მოადგილე.

10.2 გამგეობის სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც.

10.3 გამგეობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 (სამი) დღისა.

10.4 გამგეობის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ერთ-ერთი მოადგილე.

10.5 გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედი მაინც. გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

10.6 გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - ერთ-ერთი მოადგილე და მდივანი.

§11. გამგეობის კომპეტენცია

11.1 გამგეობა უფლებამოსილია:

- ◆ უხელმძღვანელოს ფედერაციის საქმიანობას საერთო კრებებს შორის პერიოდში;
- ◆ მოიწვიოს ფედერაციის საერთო კრება და მის მოწვევამდე იმუშაოს იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა ჩაირთოს საერთო კრების დღის წესრიგში;
- ◆ დააფუძნოს ფედერაციის ფილიალები (ღია წარმომადგენლობები), დაამტკიცოს მათი დებულებები და კოორდინაცია გაუწიოს მათ საქმიანობას;
- ◆ დაამტკიცოს სარევიზიო კომისიის დებულება;
- ◆ შექმნას ფედერაციის კომიტეტები, დაამტკიცოს მათი დებულებები და სტანდარტები;
- ◆ განკარგოს ფედერაციის ქონება, დაამტკიცოს ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა;
- ◆ მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოებისა და ორგანიზაციების დაარსებაზე და დაამტკიცოს მათი წესდებები (დებულებები);
- ◆ მიიღოს ბეჭდის, შტამპის, ემბლემისა და სხვა ატრიბუტიკის ნიმუშები;
- ◆ დაადგინოს ფედერაციაში განვვრდიანების საფასური და საწევრო შესატანების თანხა;
- ◆ განსაზღვროს აღმასრულებელი დირექტორის შრომის ანაზღაურების ოდენობა;
- ◆ გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს აღმასრულებელი დირექტორი;
- ◆ განიხილოს სხვა საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე წესდებიდან, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის.
- ◆ დაამტკიცოს ფედერაციის ორწლიანი გეგმა, ყოველწლიურ სამუშაო პროგრამასთან და მისი შესრულების გრაფიკთან ერთად.
- ◆ მიიღოს წევრობის შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;
- ◆ გარიცხოს წევრი ფედერაციიდან.

§12. გამგეობის თავმჯდომარე

12.1 ფედერაციას და ფედერაციის გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე.

13.2 გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა 2 წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარედ პირი შეიძლება არჩეული იქნეს ზედიზედ სამი ვადით.

12.3. გამგეობის თავმჯდომარედ ასარჩევი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ◆ იყოს ფედერაციის ნამდვილი წევრი და ჰქონდეს მის გამგეობაში ან კომიტეტებში მუშაობის გამოცდილება;
- ◆ არ უნდა ჰქონდეს დარღვეული ფედერაციის წევრებისადმი ამ წესდების მე-5 მუხლით დადგენილი მოვალეობები;
- ◆ იცნობდეს ბაფის წესდებას, მიმდინარე და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას; და
- ◆ აცნობიერებდეს ფედერაციის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

12.4. თუ გამგეობის თავმჯდომარედ ერთზე მეტი კანდიდატი იყრის კენჭს და კენჭისყრის შედეგად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული პირველ ადგილზე გასულ კანდიდატებს შორის ხმების თანაბრად განაწილების გამო, საერთო კრება ხელახლა უყრის კენჭს პირველ ადგილზე გასულ თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს.

12.5 გამგეობის თავმჯდომარე:

- ♦ ორგანიზაციას უწევს გამგეობის მუშაობას;
- ♦ ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებსა და საერთო კრებებს;
- ♦ წარმოადგენს ფედერაციას მესამე პირებთან ურთიერთობებში, დებს ფედერაციის სახელით ხელშეკრულებებს;
- ♦ ახორციელებს კონტროლს საერთო კრებისა და გამგეობის სხდომების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

§13 ფედერაციის წარმომადგენლობა

13.1 ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება:

- ა) გამგეობის თავმჯდომარეს; და
- ბ) აღმასრულებელ დირექტორს.

13.2 გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი ფედერაციას მესამე პირებთან წარმოადგენენ ცალ-ცალკე

§14. აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი)

14.1 ფედერაციის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი), რომელიც შეიძლება იყოს გამგეობის წევრი.

14.2 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) უზრუნველყოფს ფედერაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ადგენს ფედერაციის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას.

14.3 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე.

14.4 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) ინიშნება გამგეობის მიერ. მასთან კონტრაქტის პირობებს განსაზღვრავს გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

14.5 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) ატარებს ღონისძიებებს გამგეობის სხდომისა და საერთო კრების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

14.6 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) უფლებამოსილია:

- ♦ წარმოადგინოს ფედერაცია მესამე პირებთან ურთიერთობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვის სფეროში;
- ♦ შეასრულოს ფინანსური და ბიზნეს ფუნქციები ფედერაციის საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

- ♦ დანიშნოს და გაანთავისუფლოს ადმინისტრაციის პერსონალი;
- ♦ თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს ხელშეკრულებები და ხელი მოაწეროს ფინანსურ დოკუმენტებს.

14.7 აღმასრულებელი დირექტორი (სპეციალური წარმომადგენელი) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, ფედერაციის წინაშე პასუხს აგებს წარმოშობილი ზიანისათვის. უარის თქმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილია, თუკი იგი აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

§15. სარევიზიო კომისია

- 15.1 ფედერაციის საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად იქმნება სარევიზიო კომისია.
- 15.2 სარევიზიო კომისია აირჩევა ორი წლის ვადით 3 წევრის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფედერაციის წევრები.
- 15.3 სარევიზიო კომისია მოქმედებს კომისიის დებულების საფუძველზე.
- 15.4 სარევიზიო კომისია ვალდებულია:
- ♦ განახორციელოს ფედერაციის ბიზნესისა და ფინანსური საქმიანობის შემოწმება;
 - ♦ მოამზადოს და წარუდგინოს შემოწმების შედეგები გამგეობის სხდომებსა და ფედერაციის საერთო კრებებს;
 - ♦ განახორციელოს კონტროლი, რათა უზრუნველყოს ფედერაციის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ფედერაციის წესდებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების დაცვა.

§16. საკონსულტაციო საბჭო

- 16.1 საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც კონსულტაციების გაწევის გზით დახმარებას უწევს ფედერაციას თავისი საქმიანობის უკეთ წარმართვაში.
- 16.2 საკონსულტაციო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, ფასიანი ქაღალდების, ეკონომიკის ან ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ფედერაციის წევრები და რომელთაც არა აქვთ შრომითი ურთიერთობა ფედერაციასთან.
- 16.3 საკონსულტაციო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

§17. კომიტეტები

- 17.1 ფედერაციის ამოცანების განხორციელების პროცესში შეიძლება შეიქმნას:
- ♦ სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი;
 - ♦ აუდიტის ხარისხის კომიტეტი;
 - ♦ საწევრო კომიტეტი;
 - ♦ განათლების კომიტეტი;
 - ♦ საგადასახადო საკითხთა კომიტეტი;
 - ♦ ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

- ◆ სხვა კომიტეტები გამგეობის გადაწყვეტილებით.

17.2 კომიტეტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

§18. ფედერაციის ქონება

18.1 ფედერაციის ქონება იქმნება:

- ◆ ფედერაციაში გაწევრიანებისა და ფედერაციის საწევრო შენატანებით;
- ◆ საწარმოთა, ორგანიზაციათა და ფიზიკური პირების სამუშაო კოლექტივების ნებაყოფლობითი შენატანებით;
- ◆ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;
- ◆ კანონმდებლობის დაცვით მიღებული სხვა შემოსავლებით.

18.2 ფედერაცია ამ წესდებით განსაზღვრული საერთო მიზნის შესაბამისად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის ქონებას, ასევე თავისი საქმიანობიდან მიღებულ მოგებას.

18.3 ფედერაციის ქონების და საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ფედერაციის წევრებს შორის დაუშვებელია. ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავლები ხმარდება და გამოიყენება მხოლოდ ფედერაციის მიზნებისათვის.

§19. ფედერაციის ხანგრძლივობა

19.1 ფედერაცია შექმნილია და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

§20. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

20.1 ფედერაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.2 ლიკვიდაცია წარმოებს:

- ◆ მიზნის მიღწევის შედეგად;
- ◆ ფედერაციის წევრთა გადაწყვეტილებით;
- ◆ გაკოტრებისას;
- ◆ რეგისტრაციის გაუქმებისას.

20.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20.4 ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა.

20.5 ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.

20.6 ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები წესდებით არ არის განსაზღვრული. დარჩენილ ქონებას გაანაწილებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო.

20.7 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.



ბაფის გამოცდების ცხრილი

2023 წლის იანვარი

1. გამოცდები ყველა მოდულში ჩატარდება პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბე, ბაქრაძის ქ. N6^ა
2. გამოცდები დაიწყება 10:00-დან-11:00 სთ-მდე (ოთახების შევსებისთანავე) ცხრილში მოცემული გრაფიკით.
3. რეგისტრაცია დაიწყება 10:00 სთ-ზე. ბაფის წევრობის მოწმობისა და პირადობის მოწმობის გარეშე კანდიდატი არ დაიშვება გამოცდაზე.
4. გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება რეგისტრაციის ნომრების მიხედვით ვებგვერდზე www.gfpaa.ge განათლება და სერტიფიცირება /სერტიფიცირებული პროგრამა/გამოცდები/გამოცდის შედეგები – 1 თებერვალს ყველა გამოცდის დასრულების შემდეგ.

მოდული	გამოცდის თარიღი	გამოცდამდე რეგისტრაციის ვადები	გამოცდის დაწყების დრო	დაიყვანით
F1/ ბბ	18.01.2023	12.12.2022 8.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	• გთხოვთ გამოცდებზე ონლაინ დარეგისტრირდეთ მითითებულ ვადებში. • ონლაინ დარეგისტრირების გარეშე პირი გამოცდაზე არ დაიშვება. • გამოცდის ონლაინ რეგისტრაციის განაცხადი შეგიძლიათ გააუქმოთ გამოცდამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე. • აუცილებლად გაეცანით გამოცდის გამოქვეყნებულ წესებს. • ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გამოცდის თარიღისათვის გამოცდის წესებში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები.
F2/ მა	20.01.2023	12.12.2022 10.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F3/ ფა	16.01.2023	12.12.2022 6.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F4/ ქბს	22.01.2023	12.12.2022 12.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F5/ სშმ	20.01.2023	12.12.2022 10.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F6/ სდ	24.01.2023	12.12.2022 14.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე (კალკულატორი სავალდებულოა)	
F7/ ფან	16.01.2023	12.12.2022 6.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F8/ აშმ	18.01.2023	12.12.2022 8.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
F9/ ფმ	20.01.2023	12.12.2022 10.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	

P2/ სსა	18.01.2023	12.12.2022 8.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
P4/ უფშ	22.01.2023	12.12.2022 12.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
P7/ უამშ	16.01.2023	12.12.2022 6.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	
სბლ	20.01.2023	12.12.2022 10.01.2023	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ-მდე	

გამოცდებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მითითებულ ვადებში!

F3/ფა - F7/ფან - P7/უამშ	16.01	F4/ქბს - P4/უფშ - F4/ GBL	22.01
F1/ბბ - F8/ამშ - P2/ სსა	18.01	F6/სდ - F6/ BT	24.01
F2/მა - F5/სშმ - F9/ ფშ - სბლ	20.01		

შენიშვნა: გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ 2023 წლის იანვრიდან II ეტაპის მოდულების გამოცდის საფასური იქნება 250 ლარი.

მოდული – საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

**გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან საწარმოს სტრატეგიული
ანგარიშგების მოდულის გამოცდის შემფასებელი – ნაწილი 2**

შესავალი

ეს სტატია წარმოადგენს ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის „გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის შემფასებელი – ნაწილი 1“ გაგრძელებას. ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ და აგიხსნათ, როგორ აკუთვნებს ქულებს თქვენს პასუხებს საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამომცდელთა გუნდი.

წინამდებარე სტატია ეყრდნობა 2018 წლის დეკემბრის გამოცდის მესამე და მეოთხე კითხვებზე კანდიდატების მიერ გაცემული პასუხების ამონარიდებს და ახსნილია პრინციპი, როგორ მიაკუთვნა პასუხს ქულები შემფასებელმა. გამომცდელთა გუნდმა განმარტა, რომ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების (ბ) განყოფილების მეშვეობით მოწმდება ბუღალტრების სპეციალური უნარები და თვისებები, რაც მოეთხოვებათ მათ სამუშაო ადგილებზე.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დაგჭირდებათ მსჯელობა ფინანსური ანგარიშგების რთული სცენარების პირობებში, ციფრების მეშვეობით და დაინტერესებულ მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, რომ გამომცდელის მიერ შეფასებული პასუხების გაცნობა დაეხმარება კანდიდატებსაც და პედა-

გოგებსაც იმის გაგებაში, თუ რისი მიღწევა მოეთხოვება კანდიდატს ამ ტიპის კითხვებში.

**რა მოგეთხოვებათ
გამოცდის ჩასაბარებლად.**

თქვენ შეიძლება მოისურვოთ ასევე 2018 წლის დეკემბრის საგამოცდო კითხვების გამოქვეყნებული პასუხების გაცნობა, რათა აღმოაჩინოთ განსხვავებები და შეუდაროთ იმ კანდიდატების პასუხების მოცულობასა და სტილს, რომელსაც ამ სტატიაში განვიხილავთ. თუმცა, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი არ არის გამომცდელის გამოქვეყნებული პასუხების პირდაპირ გაშეოჩება თქვენს პასუხებში.

მესამე კითხვა

მესამე კითხვაში გამოყენებულია ძალიან გავრცელებული/ტიპური სტილის მოთხოვნა, კერძოდ, „ურჩიეთ დირექტორებს“ გარკვეული ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომასთან დაკავშირებით. თქვენ გთხოვენ, მიმართოთ შესაბამის სტანდარტებს. გარდა ამისა, კითხვის ზოგიერთი ნაწილი ეხება კონცეპტუალურ საფუძვლებსა და მის შემოთავაზებულ გადასინჯვას. გამოცდელთა გუნდმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონცეპტუალური საფუძვლები თქვენი სასწავლო პროგრამის ერთერთი ძირითადი სფეროა და როდესაც ეს გამოცდა ჩატარდა, კონცეპტუალური საფუძვლების გადასინჯვა იყო ერთ-ერთი მიმდინარე საკითხი საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო პროგრამაში.

მოგეთხოვებათ:

ურჩიეთ Fill-ის დირექტორებს, როგორ უნდა აისახოს შემოადინებული ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში, ამასთან მიუთითეთ შესაბამისი ფასის სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები და ასევე კონცეპტუალური საფუძვლების შემოთავაზებული გადასინჯვის საკითხიც, საჭიროებისამებრ.

(25 ქულა)

კონცეპტუალური საფუძვლები
თქვენი სასწავლო პროგრამის
ერთერთი ძირითადი სფეროა.

მოთხოვნებთან დაკავშირებული შემფასებლის კომენტარები

25 ქულა გაყოფილი იყო სამ სხვადასხვა საკითხზე: (ა) ნაწილში, რომელსაც 7 ქულა ჰქონდა მიკუთვნებული, გთხოვდნენ რჩევის მიცემას შემდეგ საკითხებზე:

- „კონცეპტუალური საფუძვლები“ გავლენას ახდენს თუ არა მარაგების შეფასებაზე;
- როგორ უნდა გამოითვალონ ქვანახშირის მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, მათ შორის დაბალი ხარისხის ქვანახშირის.

(ბ) ნაწილში, რომელსაც 8 ქულა ჰქონდა მიკუთვნებული, გთხოვდნენ რჩევის მიცემას იმის თაობაზე, როგორ უნდა აისახოს სარემონტო მომსახურების დანახარჯები და ქვანახშირის ფასის დაცემა არის თუ არა გაუფასურების ინდიკატორი.

(გ) ნაწილში, რომელსაც 10 ქულა ჰქონდა მიკუთვნებული, გთხოვდნენ რეკომენდაციას შემდეგ საკითხებზე:

- „კონცეპტუალური საფუძვლების“ შემოთავაზებული გადასინჯვა გავლენას იქონიებს თუ არა გადაწყვეტილებაზე იმის თაობაზე, კომპანია Fill-ი აკონტროლებს თუ არა მალაროს; და
- წილის შეძენა მიიჩნევა თუ არა საწარმოთა გაერთიანებად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამ სტილის მოთხოვნაში, როგორც წესი, ქულები მიეკუთვნება შემდეგნაირად: 1 ქულა თითო შესაფერის და კარგად ახსნილ მოსაზრებაზე, თუმცა, როგორც ნაჩვენებია საგამოცდო კითხვების შეფასების სქემაში, ქულების დიდი ნაწილი მიკუთვნებულია სცენართან თქვენი პასუხების დაკავშირებაზე/მისადაგებაზე. ამ მოთხოვნებზე კარგი პასუხების გაცემას ფართო მიდგომა ესაჭიროება, ყოველთვის გაცნობიერებული უნდა გქონდეთ, რომ პასუხის გასაცემად შესაძლოა შესაფერისი იყოს ერთზე მეტი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის გამოყენება.

აქ მთავარია შეძლოთ სათანადო ტექნიკური მოსაზრებების შერჩევა, რადგან ეს არის სწორედ იმის უნარი, რომ თქვენი მოსაზრებები დაუკავშიროთ სცენარში აღწერილ ფაქტებს. როგორც ამ სტატი-აში ნახავთ, ამ კითხვებში შეუძლებელია ქულების მიღება მარტივად, მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის ტექსტის უბრალოდ გამეორებით. რომელიც გაგახსენდებათ.

ქულების დიდი ნაწილი
მიკუთვნებულია სცენართან
თქვენი პასუხის მისადაგებაზე.

შენიშვნები 1-ელი კანდიდატის მიერ მე-3 კითხვაზე გაცემული პასუხების შესახებ

1-ელი შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია შესაფერიი ძირითადი წესის ჩამოყალიბებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტის ნომერი არასწორად არის მითითებული.

მე-2 შენიშვნა

არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული სცენარის ინფორმაციის უბრალოდ გამეორებაზე, რადგან კანდიდატმა ამ ინფორმაციის ღირებულება არ გაზარდა.

მე-3 შენიშვნა

აქ ქულა მიკუთვნებულია იმის მცდელობაზე, რომ კანდიდატს გამოეყენებინა სცენარის გარკვეული ინფორმაცია, ე.ი. ფასის 20%-ით შემცირება, იმის ასახსნელად, როგორ მოხდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გამოთვლა (თუმცა, ამ ახსნის დანარჩენი ნაწილები აშკარად არასწორია).

მე-4 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია „ვალდებულების“ პრინციპის გამოყენებისთვის სცენართან მიმართებით.

მე-5 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია სცენართან მიმართებით ბასს 36-ის სწორად გამოყენებისთვის. მიაქციეთ ყურადღება: არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული უბრალოდ გაუფასურების ყველა ინდიკატორის ჩამოთვლისთვის, რომელიც მითითებულია ამ სტანდარტში.

არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული უბრალოდ სტანდარტში მითითებული გაუფასურების ინდიკატორების ჩამოთვლაზე.

მე-6 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია გაუფასურების შემოწმების ახსნაზე, რაც უნდა მოჰყვეს გაუფასურების რაიმე ინდიკატორის გამოვლენას სამთო მოპოვებით მოწყობილებასთან მიმართებით.

მე-7 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია გამოყენების ღირებულების განმარტების გამოყენებისთვის ქვანახშირის მიმართ, სცენარის შესაბამისად.

მე-8 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ახლანდელი ურთიერთობის ნაწილობრივ სწორად გაანალიზებისთვის.

მე-9 შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია იმისთვის, რომ კანდიდატმა სწორად ახსნა, საკუთრების 72% არ წარმოშობს კონტროლს და გამოიტანა დასკვნა, რომ, ამის გამო, ეს ოპერაცია არ გამოიწვევს იმას, რომ Fill -მა მთლიანად მოახდინოს მალაროს კონსოლიდაცია.

1-ელი კანდიდატის მიერ მე-3 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 9/25.

სულ:
9/25

შენიშვნები მე-2 კანდიდატის მიერ მე-3 კითხვაზე გაცემული პასუხების შესახებ

1-ელი შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია (ა) (i) ნაწილზე:

- ♦ იმისთვის, რომ კანდიდატმა სცადა რაღაც შესაფერისი თქმა კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ.
- ♦ იმის ახსნაზე, რომ მარაგის შეფასებასთან დაკავშირებულ ძირითად წესებს შეიცავს ბასს 2 და არა კონცეპტუალური საფუძვლები.

მე-2 შენიშვნა

დამატებითი ქულა მიკუთვნებულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განმარტებაზე და მისი გამოყენებისთვის ქვანახშირთან მიმართებით, სცენარის მიხედვით. ეს არის ერთერთი კარგი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება თეორიული ცოდნის სცენართან მიმართებით გამოყენების უნარის დემონსტრირება.

მე-3 შენიშვნა

აქ არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული, ვინაიდან ამ მოსაზრებაში არაფერია ბუღალტრული აღრიცხვის საკითხთან დაკავშირებული. აქ უფრო ყურადღება გამახვილებულია ფინანსური მართვის სფეროში რჩევის მიცემაზე. ნათელი არ არის, რას ამტკიცებს კანდიდატი პასუხში, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება სპოტ განაკვეთია თუ ფორვარდული განაკვეთი.

მე-4 შენიშვნა

ეს მოსაზრება შეუსაბამოა კითხვასთან (და დისკონტის პოზიციის დახურვა აქტივთან დაკავშირებით ვერ იქნება ხარჯი).

მე-5 შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია მთლიანად ანარიცხებთან დაკავშირებული შესაფერისი ტექნიკური მოსაზრების ჩამოყალიბებაზე და მისი სწორად გამოყენებისთვის სცენართან მიმართებით.

მე-6 შენიშვნა

სამი ქულაა მიკუთვნებული მთლიანად ბასს 16-იდან შესაფერისი ტექნიკური მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და მათი სწორად გამოყენებისთვის სცენართან მიმართებით.

მე-7 შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია მთლიანად გაუფასურების ინდიკატორების შესახებ სწორი მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და სცენართან მიმართებით მათი სწორად გამოყენებისთვის. სხვა დამატებითი ქულა არ არის მიკუთვნებული (ბ) ნაწილის პასუხის ბოლო პუნქტზე, ვინაიდან არაფერი შინაარსობრივი არ იყო დამატებული. (პოტენციური გაუფასურების ინდიკატორის გამოვლენისთვის ქულა უკვე მიკუთვნებულია და მეტი ქულა აღარ მიეკუთვნება).

მე-8 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია კონტროლის ახსნაზე.

მე-9 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია იმისთვის, რომ კანდიდატმა სცადა სცენარში აღწერილ საკითხთან თავისი პასუხის დაკავშირება. კერძოდ, დირექტორების შესახებ, რომლებსაც სურთ რჩევის მიღება იმის თაობაზე, გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები გავლენას იქონიებს თუ არა კონტროლის გადანყვეტილებებზე.

მე-10 შენიშვნა

არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული აქ, ვინაიდან შესაფერისი არ არის ამ სცენარში იმის აღნიშვნა, რომ კონტროლისთვის მღვარი შეადგენს 50%-ს. გადანყვეტილება იმის თაობაზე, კონტროლი არსებობს თუ არა, ეყრდნობა სხვა ფაქტორებს და არა საკუთრების ხვედრით წილს.

მე-11 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია სწორი დასკვნის გამოტანისთვის იმის თაობაზე, რომ 72% წარმოადგენს ზღვრს.

მე-12 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია სწორი ასხისთვის, რომ ეს ურთიერთობა არის ერთობლივი კონტროლი.

მე-13 შენიშვნა

დამატებითი ქულა მიკუთვნებული აღარ არის, ვინაიდან პასუხში შემდეგ აღწერილია სრული კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც არ შეესაბამება „ერთობლივ კონტროლს“.

მე-2 კანდიდატის მიერ მე-3 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 14/25.

სულ:
14/25

მეოთხე კითხვა

ამ კითხვიდან ჩანს რომ გამომცდელთა გუნდი იყენებს ერიან მიდგომას საწარმოს ანგარიშგებასთან მიმართებით, რომელიც მოიცავს როგორც არაფინანსურ, ისე ფინანსურ ასპექტებს. საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის მეორე დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ თქვენ განსახილველი გეგნებით გარკვეული ასპექტები დაინტერესებულ მხარეთა პოზიციიდან.

თქვენ განსახილველი გეგნებით გარკვეული ასპექტები დაინტერესებულ მხარეთა პოზიციიდან.

კითხვის მოთხოვნებთან დაკავშირებული შემფასებლის კომენტარები

ნაწილი (ა)

ეს ნაწილი კონცენტრირებულია დოკუმენტზე, როგორიცაა *ხელმძღვანელობის კომენტარები*, რომელიც სასწავლო პროგრამაში მითითებულია, როგორც მიმდინარე საკითხი და შეტანილია საგამოცდო პროგრამაში. *კონცეპტუალური საფუძვლების მნიშვნელობას* საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე

ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ ეს ესაკითხი შეტანილია ამ კითხვაში – მოითხოვება ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების განხილვა *ხელმძღვანელობის კომენტარების* დოკუმენტის კონტექტში.

მოგეთხოვებათ:

- (i) მოკლედ განიხილოთ ფასს-ების პრაქტიკის დებულების „*ხელმძღვანელობის კომენტარების*“, როგორც არასავალდებულო საფუძვლის ან როგორც ფასს სტანდარტის სახით გამოცემის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები;
(4 ქულა)
- (ii) განიხილოთ, როგორ უნდა მოხდეს *ხელმძღვანელობის კომენტარების* მომზადებისას ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების: აღქმადობის, რელევანტურობისა და შესაძარისობის გამოყენება.
(5 ქულა)

მართალია, ეს მოთხოვნა არ ეყრდნობა სცენარს, მაგრამ მაინც არ გთხოვენ ნასწავლი თეორიული ცოდნის პირდაპირ გამოყენებას. ამ მოთხოვნის პირველ ნაწილში ქულები მიკუთვნებულია „საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტე-

ბის“ ჩამოყალიბებაზე იმასთან დაკავშირებით, კონცეპტუალური საფუძვლები არასავალდებულო დოკუმენტი უნდა იყოს თუ სტანდარტი. აქ, ამასთან დაკავშირებით, ქულების მისაღებად დრო უნდა დახარჯოთ სწორედ ამ არგუმენტების მოფიქრებაზე და არა ისეთი რამის გამეორებაზე, რაც შეიძლება ნასწავლი გქონდეთ სახელმძღვანელოდან „ხელმძღვანელობის კომენტარების“ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ამ კითხვის მეორე ნაწილში შეფასების სქემაში სამი ქულა მიკუთვნებულია ზემოაღნიშნული მახასიათებლების განხილვაზე, მაგრამ დანარჩენი ორი ქულა მიკუთვნებულია ამ მახასიათებლების გამოყენებაზე ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტთან მიმართებით.

ნაწილი (ბ)

მოგეთხოვებათ:

ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აუხსნათ ინვესტორს ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადების აღრიცხვის ბუნება.

შენიშვნა: პასუხში უნდა ახსნათ გადასახადების შეჯერების საკითხი, განიხილოთ მიმდინარე და მომავალი საგადასახადო განაკვეთების გავლენა და ახსნათ გადავადებული გადასახადების აღრიცხვის წესი შესაბამისი ფასს სტანდარტების მიხედვით.

(14 ქულა)

კითხვის 4 (ბ) ნაწილთან დაკავშირებით, პროფესიონალიზმისთვის ქულები მოგენიჭებათ განხილვის აღქმადობისა და ხარისხისთვის.

(2 ქულა)

ამ მოთხოვნაში გთხოვენ, ინვესტორს აუხსნათ გადასახადების აღრიცხვის მიდგომა. სცენარში მინიშნებულია განმარტებითი შენიშვნა, სადაც უნდა გააანალიზდეს დარიცხული გადასახადი, ასევე სხვა დამატებითი ინფორმაცია. აქ ხელმისაწვდომი გქონდათ ორი ქულა პროფესიონალიზმისთვის, რაც დამახასიათებელია „ბ“ განყოფილების კითხვისთვის, ეხება ანალიზის ზოგიერთ ასპექტს და დაინტერესებული მხარეებისთვის მათ ინფორმირებას.

შეფასების სქემაში 14 ტექნიკური ქულა განაწილებულია სხვადასხვა საკითხზე, სცენარში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობის შესაბამისად. ასე, რომ 5 ქულა მიკუთვნებულია გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებული ასპექტების ახსნაზე, 4 ქულა შესაჯერებელი მუხლების ახსნაზე, 3 ქულა სცენარში ნახსენები სხვადასხვა განაკვეთის გავლენის და კომპანიისთვის მათი შესაფერისობის ახსნაზე. ბოლოს, 2 ქულა მიკუთვნებულია იმის ახსნაზე, რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან დასაბეგრი და სააღრიცხვო მოგება. ამ მოთხოვნაზე კარგი პასუხის გაცემის ყველაზე ეფექტური მიდგომაა, გამოიყენოთ მოთხოვნაში და სცენარში გამოყენებული „ხრიკები“ და სცადოთ ერთი ან ორი ხელჩასაჭიდი ინფორმაციის მოძიება იმისთვის, რომ რაღაც თქვათ თითოეულ ამ ასპექტთან დაკავშირებით, ნაცვლად იმისა, რომ ძალიან დიდი დრო დახარჯოთ რომელიმე ერთ ასპექტზე.

იმის დასადგენად, სრულად უნდა მიაკუთვნოს თუ არა პასუხს ორი პროფესიონალური ქულა, შემფასებელი განიხილავს, პასუხში ჩანს თუ არა ინვესტორის მოსაზრების განხილვა და რა რჩევა იქნება მათთვის შესაფერისი, ასევე იმისთვის, რომ პასუხი ზოგადად გასაგებად, ლოგიკურად და პროფესიონალურად იყოს ჩამოყალიბებული.

სიცხადე, ლოგიკა და
პროფესიონალიზმი.

შენიშვნები 1-ელი კანდიდატის მიერ მე-4 კითხვაზე გაცემული პასუხის შესახებ

1-ელი შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია იმაზე, რომ კანდიდატმა თავისი მოსაზრებები მიუსადაგა კითხვის მოთხოვნას, გამოავლინა პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ კონცეპტუალური საფუძვლები არ უნდა იყოს სავალდებულო.

მე-2 შენიშვნა

თითო ქულა მიკუთვნებულია თითო მოსაზრებაზე, რომელიც ეხება ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს, ვინაიდან თითოეულ მოსაზრებაში ჩანს სულ მცირე იმის მცდელობა მაინც, როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების გამოყენება/დაკავშირება ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტთან.

მე-3 შენიშვნა

ჩანს, რომ კანდიდატს გარკვეულწილად ესმის, როგორ გამოითვლება ჯგუფის საგადასახადო ხარჯი.

მე-4 შენიშვნა

მიკუთვნებულია ერთი ქულა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს კანდიდატის მოსაზ-

რებების კავშირი სცენართან, რომელიც ეხება კომპანიის ზარალის ისტორიას. უფრო მეტი ქულაა ხელმისაწვდომი ამასთან დაკავშირებით, ასე რომ ეს ქულები დაკარგა კანდიდატმა.

მე-5 შენიშვნა

ბოლო სამი ქულა მიკუთვნებულია სწორი ტექნიკური მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და სცენარის გამოყენებისთვის.

მე-6 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის პროფესიონალიზმისთვის. პასუხი ნაკლებად გასაგებია, ვინაიდან ზოგიერთი ტექნიკური საკითხი ნაკლებადაა დაკავშირებული სხვა საკითხებთან. ასევე არ ჩანს კანდიდატის მცდელობა, რომ კითხვის შესახებ იმსჯელოს ინვესტორის პოზიციიდან.

1-ელი კანდიდატის მიერ მე-4 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 10/25.

სულ:
10/25

შენიშვნები მე-2 კანდიდატის მიერ მე-4 კითხვაზე გაცემული პასუხების შესახებ

1-ელი შენიშვნა

პასუხი ნაწილობრივ ეხება კითხვის მოთხოვნას, ზოგიერთ თეორიულ საკითხს უკავშირებს კითხვის მოთხოვნას, ჩამოაყალიბეთ „საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტები“. ასე, რომ ვინაიდან კანდიდატის მოსაზრებები ამგვარად იყო დაკავშირებული სცენართან, მიკუთვნებული აქვს ორი ქულა.

მე-2 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებული აქვს სამივე მოსაზრებაზე, ასევე იმ ფაქტის გამო, რომ კანდიდატმა სცადა თავისი მოსაზრებების დაკავშირება ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტთან.

მე-3 შენიშვნა

აქ მიკუთვნებულია ორი ქულა, ვინაიდან ისეთი მოსაზრებები აქვს მოყვანილი კანდიდატს, რომლებიც შესაფერისია ინვესტორისთვის ამ ინფორმაციის ასახსნელად.

მე-4 შენიშვნა

ერთი ქულაა მიკუთვნებული, ვინაიდან ამკარად ჩანს გარკვეული კავშირი უცხოურ შვილობილ საწარმოებთან.

მე-5 შენიშვნა

ორი განცალკევებული ქულაა მიკუთვნებული ამ პუნქტზე, ვინაიდან ჩანს, რომ კანდიდატმა სცადა ორი განსხვავებული გატარების ახსნა შეჯერებაში.

მე-6 შენიშვნა

არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული კითხვაში მოცემული ინფორმაციის უბრალოდ გამეორებაზე ისე, რომ კანდიდატმა არანაირი ახალი ღირებულება არ შესძინა პასუხს.

მე-7 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია იმისთვის, რომ კანდიდატმა სცადა სამომავლო საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გავლენის ახსნა.

მე-8 შენიშვნა

ორი ქულა მიკუთვნებულია გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი ასპექტის აღწერისთვის, მაგრამ კანდიდატმა დაკარგა ორი ქულა, რადგან ეს საკითხები არ დაუკავშირა სცენარს. „MAX“ აკრონიმი გვიჩვენებს, სად უნდა გამოვიყენოთ ეს ზღვარი. თქვენ გამოცდაზე ყოველთვის შეზღუდული გაქვთ ქულების რაოდენობა, რომლის მიკუთვნება შესაძლებელია ნასწავლი ცოდნის მექანიკურად გამოყენებაზე, სცენარის გაუთვალისწინებლად.

მე-9 შენიშვნა

ერთი ქულა მიკუთვნებულია თეორიული ცოდნის სცენართან მისადაგებაზე.

მე-10 შენიშვნა

კანდიდატს მიკუთვნებული აქვს ერთი ქულა პროფესიონალიზმისთვის, არგუმენტის გასაგებად ჩამოყალიბებისა და პასუხის წარდგენის ფორმატისთვის, მაგრამ სრული ქულების მისაღებად კანდიდატს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმო დაინტერესებულ მხარეთა პოზიციიდან მსჯელობისთვის.

მე-2 კანდიდატის მიერ მე-4 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 15/25.

სულ:
15/25

მე-3 კითხვა – პირველი კანდიდატი

(ა)(i)

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური სფუძვლები გავლენას არ ახდენს მარაგის შეფასებაზე.

ბასს 12 მარაგი – მარაგი შეფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

(ა) (ii)

20X6 წლის 30 ნოემბერი – ნახშირბადის დაბალი შემცველობა – დაბალი ხარისხი

პრონოზის თანახმად, მოსალოდნელია, რომ 3 წელიწადში ქვანახშირის ფასი 20 %-ით შემცირდება მიმდინარე სპოტ ფასთან შედარებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გამოთვლა:

1. მაღაროდან ქვანახშირის ამოღების დანახარჯი.
2. გამრავლებული $\times$ 3 წელი, საპროგნოზო ფასის გამოსათვლელად.
3. 20%-ით შემცირების გამოყენება ფასში.
4. რადგან უკვე გამოვითვალეთ ქვანახშირის ფასი, შეგვიძლია გამოვიტვალოთ ნახშირბადის დაბალი შემცველობის მქონე ქვანახშირის ფასი.

სულ – ნაწილი (ა):
2/7

(ბ)

ფასს-ების შესაბამისად ვალდებულება მაშინ არსებობს, როდესაც ვალდებულება წარმოიშობა.

თუმცა Fill-ის შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ არ არსებობს იურიდიული ვალდებულება სამთო მოპოვებითი მოწყობილობის ტექნოლოგიური განვითარებისთვის, ასე რომ ღირებულებების წინადადებას ვერ დავეთანხმებით, არასწორია.

თუმცა, თუ ეს დანახარჯები არსებითია Fill-თან მიმართებით, შესაძლებელია შეიქმნას ანარიცხი. თუმცა, ვინაიდან არაფერი არ ვიცით ამ დანახარჯების არსებობის შესახებ, ამასთან დაკავშირებით ვერაფერს ვურჩევთ ღირებულებას.

ამასთან, ტექნოლოგიური დანახარჯების მნიშვნელობაც დაკავშირებულია არსებობასთან.

ბასს 36 – აქტივების გაუფასურება – ჩამოთვლილია აქტივების ინდიკატორები, მაგალითად:

1. აქტივის საბაზრო ღირებულების შემცირება
2. ტექნოლოგიური, საბაზრო და ეკონომიკური გარემოს არახელსაყრელი ცვლილებები.
3. მორალური ცვეთა ან დაზიანება.
4. გამოყენების შემცირება.

ქულები

შენიშვნები

0

1

0

1

1

0

0

← შენიშვნა 1

← შენიშვნა 2

← შენიშვნა 3

← შენიშვნა 4

ქვანახშირის ფასის შემცირება გაუფასურების ერთერთი ინდიკატორია, ვინაიდან მიგვანიშნებს ქვანახშირის ბაზრის არახელსაყრელ ცვლილებაზე.

1

← შენიშვნა 5

შემდეგ Fill-მა უნდა ჩაატაროს გაუფასურების მიმოხილვა, გამოითვალოს, სამთო მოპოვებითი მოწყობილობის საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის:

1

← შენიშვნა 6

(i) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და

(ii) გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხა.

გამოყენების ღირებულება არის მომავალი ფულადი ნაკადები, რომელიც მიიღება აქტივის გამოყენებიდან. (შეფასებული ქვანახშირის სამომავლო გაყიდვები, რომელიც დისკონტირებულია დღევანდელ ღირებულებამდე).

1

← შენიშვნა 7

სულ - ნაწილი (ბ):
4/8

(გ)

ფასს 3-ის – საწარმოთა გაერთიანების – მიხედვით ნებისმიერი სუბიექტის შეძენა ანგარიშგებაში უნდა აისახოს სტანდარტების შესაბამისად.

Fill-ის ახლანდელი წილი ქვანახშირის მაღაროში (28%) წარმოშობს გავლენას. გავლენა მაშინ არსებობს, როდესაც სააქციო წილი აღემატება 20%-ს, მაგრამ ნაკლებია 50%-ზე. ასე, რომ, მართალია, ამ დროს გავლენა არსებობს, მაგრამ კონტროლი არ არსებობს.

1

← შენიშვნა 8

თუმცა, დამატებითი 24% წილის შეძენის შედეგად Fill-ის საკუთრების წილი გაიზრდება 52%-მდე, რაც შეიძლება ზოგიერთ სიტუაციაში კონტროლის არსებობის მაჩვენებელი იყოს, მაგრამ აქ არსებობს საოპერაციო შეთანხმება, რომელიც მოითხოვს 72% საკუთრების წილის არსებობას ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დამტკიცებისთვის.

1

ვინაიდან კომპანია Fill -ს არ აქვს კონტროლი ამ მაღაროზე, მას არ ჭირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება თავისთვის და ქვანახშირის მაღაროსთვის.

1

← შენიშვნა 9

სულ - ნაწილი (გ):
3/10

სულ
მე-3
კითხვა

9/25

მე-3 კითხვა – მეორე კანდიდატი

(ა) (i) – კონცეპტუალური საფუძვლები და მარაგების შეფასება.

კონცეპტუალურ საფუძვლებს აქვს ერთი თავი, რომელიც ეხება შეფასებას. აქ აღწერილია შეფასების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის პირვანდელი ღირებულება, მიმდინარე ღირებულება და სარეალიზაციო ღირებულება.

1

← შენიშვნა 1

მარაგების შეფასებას ეხება ბასს 2 – მარაგები, ასე რომ კონცეპტუალური საფუძვლები მარაგების შეფასებას არ ეხება. ბასს 2-ის ძირითადი წესია ის, რომ მარაგები უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

1

(ა) (ii)

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც საჭიროა მარაგის გასაყიდად. ასე, რომ ახლა ქვანახშირის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გამოსათვლელად დაგვჭირდება მიმდინარე სპოტ განაკვეთის ცოდნა და მისი გამოყენება ქვანახშირის შესაფასებლად იმ დანახარჯების გამოკლებით, რომელიც აუცილებელია ქვანახშირის გასაყიდად მოსამზადებლად და მომხმარებლებისთვის მისაწოდებლად.

1

← შენიშვნა 2

კომპანია Fill-ს სურს დაბალი ხარისხის ქვანახშირის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ეყრდნობა სპოტ განაკვეთს და მომავლის გათვალისწინება, რომელიც ადგენს ქვანახშირის გარანტირებულ ფასს, რაც, სავარაუდოდ, უფრო დაბალი იქნება, ვიდრე მიმდინარე სპოტ განაკვეთი. ეს იქნება ქვანახშირის გარანტირებული ნეტო სარეალიზაციო ღირებულება სამი წლის შემდეგ.

0

← შენიშვნა 3

უნდა გავითვალისწინოთ ფულის დროითი ღირებულება – უნდა გამოვიყენოთ შესაფერისი დისკონტირების განაკვეთი და განვსაზღვროთ მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. შემდეგ კი სამი წლის განმავლობაში თითოეული წლის ბოლოს თანდათან დისკონტის პოზიციის დაგხურით მოგება/ზარალის მეშვეობით – ფინანსური დანახარჯები.

0

← შენიშვნა 4

სულ ნაწილი (ა):

3/7

(ბ)

ანარიცხი იმ შემთხვევაში უნდა შეიქმნას, როდესაც უდავოდ გარკვეულია, რომ საწარმოდან მოხდება ეკონომიკური რესურსების გადინება და შესაძლებელია მათი საიმედო შეფასება.

1

← შენიშვნა 5

ამ სცენარში სწორი არ იქნება ანარიცხის შექმნა სარემონტო დანახარჯებისთვის, ვინაიდან არ არსებობს ამის გაკეთების არანაირი ვალდებულება.

1

ბასს 16-ში – ძირითადი საშუალებები აღნიშნულია, რომ როდესაც აქტივს აქვს მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც უფრო მოკლე მომსახურების ვადა აქვს ან როდესაც მოითხოვება პერიოდული შემოწმება და კაპიტალური რემონტის ჩატარება, ასეთ კომპონენტს ცვეთა უნდა დაერიცხოს კაპიტალური რემონტის ჩატარებამდე პერიოდის განმავლობაში.

1

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ სამთო მოპოვებითი მოწყობილობის მთლიანი დანახარჯი ჩამოიწეროს ერთი და იმავე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, \$3 მლნ უნდა ჩამოიწეროს ორი წლის განმავლობაში.

1

შემდეგ როდესაც ჩატარდება რემონტი, სარემონტო დანახარჯები უნდა აისახოს ამ მოწყობილობის დანახარჯების დებეტში და ჩამოიწეროს რემონტის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

1

გაუფასურების ინდიკატორი არის ნებისმიერი რამ, რომელიც შეიძლება მიგვანიშნებდეს აქტივის ღირებულების შემცირებაზე. ამის მაგალითებია:

- საბაზრო ღირებულების შემცირება
- პროდუქტის მორალური ცვეთა ტექნიკური მიღწევების მეშვეობით.

1

ქვანახშირის ფასის შემცირება პოტენციულად გაუფასურების ინდიკატორია.

1

აქტივი გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, თუ არსებობს გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუმცა, იმის გამო, რომ ქვანახშირის გასაყიდი ფასების ცვალებადობის შესახებ მეტი არაფერი ვიცით, ძნელია იმის თქმა, ეს არის თუ არ არის ზუსტად გაუფასურების ინდიკატორი.

← შენიშვნა 6

← შენიშვნა 7

სულ ნაწილი (ბ)

7/8

(გ) ნაწილი

კონტროლის არსებობა, საზოგადოდ, მაშინ იგულისხმება, როდესაც რომელიმე ერთ მხარეს ეკუთვნის საწარმოს წილის 50% ან მეტი.

ჩვეულებრივ, ეს მათ აძლევთ ხმის უფლებების დიდ რაოდენობას საწარმოში, რაც შემდეგ განაპირობებს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, აძლევს მათ იმ უკუვების კონტროლის საშუალებას, რომელსაც იღებენ მშობელი საწარმოდან, ე.ი. კონტროლი საბჭოზე.

1

← შენიშვნა 8

გადასინჯულ კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოიყენება კონტროლის ისეთივე განმარტება, რომელიც გამოიყენება ფასს 10-ში, ასე, რომ ეს არ შეცვლის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, კონტროლი არსებობს თუ არა.

1

← შენიშვნა 9

თუ Fill-ი შეიძენს დამატებით 24% წილს, ის მიიღებს 50% ზღვარზე მეტ საკუთრების წილს, 52%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე ექნებათ კონტროლი, ვინაიდან გახდებიან საწარმოს უდიდესი წილის მფლობელები.

0

← შენიშვნა 10

თუმცა, ეს მათ არ აძლევთ 72%-ზე მეტ წილს, რაც საოპერაციო შეთანხმების მიხედვით, აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

1

← შენიშვნა 11

ეს არის ერთობლივი კონტროლი, მაშასადამე, საკუთრების წილის ოდენობის გათვალისწინება აქ მიზანშეუწონელია, თუ საოპერაციო შეთანხმება არ შეიცვლება.

1

← შენიშვნა 12

დამატებითი წილის შეძენის კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც ეტაპობრივი შეძენა.

როდესაც საწარმო სხვა საწარმოს იძენს ეტაპობრივად, სავარაუდოდ, ამას აკეთებს რისკის გავლენის შესამცირებლად ან იმის გამო, რომ ამ დროისთვის სახსრები არასაკმარისი აქვს.

0

ამ სცენარში კომპანია Fill-ი მეკავშირე საწარმოდან გარდაიქმნება შვილობილ საწარმოდ. მოგებაში ან ზარალში მეკავშირე საწარმო იქნება ერთ-ერთი მუხლი (წილობრივი მეთოდი) – Fill-ის წილისთვის მეკავშირე საწარმოს მოგებაში და გვიჩვენებს ინვესტიციის ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

0

← შენიშვნა 13

რა შემთხვევაშიც უნდა მოხდეს შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაჯამდება ყველა საწარმოს აქტივები და ვალდებულებები და გამოითვლება გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი.

0

სულ - ნაწილი (გ):

4/10

**სულ
მე-4
კითხვა**

14/25

მე-4 კითხვა – პირველი კანდიდატი

(ა) (i)

თუ კონცეპტუალური საფუძვლები არ იქნება სავალდებულო, შეიძლება ეს იმას ნიშნავდეს, რომ სხვადასხვა საწარმომ თავისი კომენტარების ანგარიში შეიძლება განსხვავებულად მოამზადოს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ რთული იქნება მათი შედარება.

1

გარდა ამისა, კომპანიამ შეიძლება ანგარიში არ მოამზადოს ყოველ წელს, ასე რომ შედარება რთული იქნება. ვინაიდან შედარება რთულდება, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მომხმარებელმა შეიძლება ვერ გაიგოს ეს ანგარიში.

1

← შენიშვნა 1

ხელმძღვანელობამ შესაძლოა ამ ანგარიშში ისეთი ინფორმაცია წარმოადგინოს, რომელსაც თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევს.

0

(ა) (ii)

ხელმძღვანელობის კომენტარები ერთი და იმავე საფუძვლით უნდა შეიქმნას ყოველ წელს, რათა შესაძლებელი იყოს შედარება, როდესაც განიხილება წინა წლების ვერსიები და მომავალი წლების ვერსიები.

1

კომენტარების ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია რელევანტური უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ანგარიში მომხმარებელს დაეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

1

← შენიშვნა 2

კომენტარების ანგარიშში ინფორმაცია ისეთი ფორმატით და ენის გამოყენებით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ჩვეულებრივმა პირმა შეძლოს მისი გაგება, ანგარიშში არ უნდა იყოს შეტანილი დიდი მოცულობის ტექნიკური ინფორმაცია.

1

სულ - ნაწილი (ა):

5/9

(ბ)

თავდაპირველად საგადასახადო ხარჯი არ ეყრდნობა ჯგუფს, არამედ ცალკეული კომპანიის ანგარიშებს ეყრდნობა. ეს ჩანს პირობითი დანახარჯის დარიცხვიდან ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით. მაგრამ შემდეგ მუხლს უცხოური ქვეყნების საგადასახადო განაკვეთის განსხვავება შესაბამისობაში მოჰყავს პირობით ხარჯთან.

1

← შენიშვნა 3

როდესაც გადასახადი გამოითვლება, წარმოიშობა გადავადებული გადასახადი. ეს შეიძლება იყოს აქტივი ან ვალდებულება. ამის მიზეზი ისაა, რომ კომპანიები და საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ განაკვეთებს იყენებენ.

0

როდესაც კომპანიას აქვს გადავადებული საგადასახადო აქტივი, მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თუ, კომპანია მოგებას იღებს ან მოგების მიღებას ვარაუდობს მომავალში.

1

← შენიშვნა 4

ასევე მოხდება საგადასახადო ხარჯის კორექტირება წინა პერიოდში გადასახადის ნაკლებად ან ზედმეტად შეფასებული თანხის გასათვალისწინებლად.

1

საგადასახადო განაკვეთის შემოთავაზებული ცვლილება მომავალი პერიოდებისთვის იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლების ანგარიშგებაში გაიზრდება საგადასახადო ხარჯი.

1

← შენიშვნა 5

\$95 მლნ, რომელიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც გადახდილი მიმდინარე გადასახადი, ამ წლისთვის დარიცხული ხარჯის ტოლი არ არის, ვინაიდან გადახდა იმავე დროს არ განხორციელებულა, როდესაც ეს თანხები დაირიცხა. წლის მანძილზე გადახდილი თანხა მოიცავს ბოლო წლის საგადასახადო ხარჯის გადახდილი თანხის გარკვეულ ნაწილსაც და არა წლის მანძილზე დარიცხული საგადასახადო ხარჯის მთელ თანხას, რომელიც მომავალში გადაიხდება.

1

0

← შენიშვნა 6

პროფ

სულ: ნაწილი (ბ)

5/16

სულ
მე-4
კითხვა

10/25

მე-4 კითხვა – მეორე კანდიდატი

(ა) (i)

პრაქტიკის დებულება უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, ვინაიდან:

ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ინვესტორებს ეხმარება კომპანიის საქმიანობის შედეგების განსაზღვრასა და კომპანიის ფინანსური შედეგების უკეთ გაგებაში.

1

თუმცა, ზოგჯერ ეს კომენტარები მიკერძოებულია და არასრულყოფილი. შესაძლებელია გამოტოვებული იყოს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი და ვინაიდან ამ კომენტარებზე შეიძლება რეალური კონტროლი არ ხორციელდებოდეს, მომხმარებლები შესაძლოა შეცდომაში შევიდნენ.

1

← შენიშვნა 1

(ა) (ii)

ხელმძღვანელობის კომენტარები შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს იმ შემთხვევაში, თუ კარგი ხარისხის არის. ამის მისაღწევად სამი მახასიათებელი არსებობს:

აღქმადობა – წარდგენილი ინფორმაცია გასაგებია და ურთიერთ-თავსებადი, ხოლო გამოყენებული ტერმინოლოგია გასაგებია საბოლოო მომხმარებლისთვის.

1

← შენიშვნა 2

რელევანტურობა – ანგარიშში ჩართულია მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს სჭირდება და არა ძალიან ბევრი ინფორმაცია.

1

შესადარისობა – თითოეული წლის კომენტარები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული და გვიჩვენებდეს შედეგების პროგრესულ სურათს.

1

სულ - ნაწილი (ა):

5/9

(ბ)

გადასახადი გამოითვლება და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება დარიცხვის მეთოდით და მოიცავს გარკვეულ შეფასებებს.

1

ჯგუფი Halls-ის ანგარიშგება ექვემდებარება საგადასახადო აუდიტს, რამაც შეიძლება შეცვალოს გადახდილი გადასახადი, რაც ერთერთი მიზეზია იმისა, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები გადახდილი გადასახადი რატომ იყო \$95 მლნ იყო და მოცემული წლის საგადასახადო ხარჯი – \$87 მლნ.

1

← შენიშვნა 3

გადასახადის შეჯერების მიზანია, გაკორექტირდეს კორპორაციული გადასახადი, რომელიც არის მოგების 22%, რათა გათვალისწინებული იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები ყველა სხვა ელემენტი, რომელიც გავლენას ახდენს გადასახადზე. მაგალითად, უცხოური საგადასახადო განაკვეთების განსხვავება მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გადაყვანისას და უცხოური შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციის დროს გამოიყენება.

1

← შენიშვნა 4

არსებობს გარკვეული ტიპის შემოსულობები, რომელიც არ იბეგრება და ეს უნდა გაკორექტირდეს. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოები არ აღიარებენ გაუფასურებას და ეს არსებობს მხოლოდ საწარმოს საბუღალტრო წიგნებში. ამგვარად, ეს თანხაც ისევ უნდა დაბრუნდეს და დაემატოს.

მიმდინარე საგადასახადო განაკვეთი 22%-ია 20X7 წლის ნოემბრისთვის. 20X8 წლის იანვრიდან ახალი შესაფერისი საგადასახადო განაკვეთი იქნება 25%.

Holls-მა არ გაამჟღავნა ინფორმაცია, საიდანაც ინვესტორები გაიგებდნენ საგადასახადო განაკვეთის სამომავლო ცვლილების შესახებ, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს Holls ჯგუფის დაბეგვრის შემდგომი მოგების შემცირებას.

გადავადებული გადასახადი მაშინ წარმოიშობა, როდესაც განსხვავებულია ამა თუ იმ მუხლის სააღრიცხვო მიდგომა და მისი საგადასახადო მიდგომა შესაფერისი საგადასახადო ორგანოს შესაბამისად.

თუ განსხვავებულია აქტივის საბალანსო ღირებულება და მისი საგადასახადო ბაზა, ამის შედეგად წარმოიშობა დასაბეგრი დროებითი სხვაობა და ეს უნდა აღიარდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

თუ საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე საგადასახადო ბაზა, ეს უნდა აისახოს როგორც გადავადებული საგადასახადო ვალდებულება.

თუ საბალანსო ღირებულება ნაკლებია საგადასახადო ბაზაზე, ეს იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივი.

საგადასახადო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება გადავადებული გადასახადის მიმართ, შეფასებული სიდიდეა, რომელიც ეყრდნობა წლის ბოლოს მოქმედ განაკვეთებს. ამგვარად, უნდა გამოიყენონ განაკვეთი 25%, ვინაიდან ახალი საგადასახადო კანონი დამტკიცდება 20X7 წლის 12 ნოემბერს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, დაკორექტირდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულების/აქტივის გათვალისწინებით მანამ, სანამ განისაზღვრება მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

1

← შენიშვნა 5

1

0

← შენიშვნა 6

1

← შენიშვნა 7

1

1

← შენიშვნა 8

მაქს.

მაქს.

1

← შენიშვნა 9

0

1

← შენიშვნა 10

სულ - ნაწილი (ბ):

10/16

**სულ
მე-4
კითხვა**

15/25

დანართი

მესამე კითხვა, 2018 წლის დეკემბერი

(ა) Fill-ი არის ქვანახშირის მომპოვებელი კომპანია და ქვანახშირს ყიდის სპოტ და ფორვარდულ ბაზრებზე. სპოტ ბაზარზე საქონელი იყიდება დაუყოვნებლივ მიწოდებისთვის, ხოლო ფორვარდულ ბაზარზე – მომავალში მიწოდებისთვის. მარაგი დაყოფილია ქვანახშირის სხვადასხვა კატეგორიად. 20X6 წლის 30 ნოემბრისთვის მარაგში არსებული ქვანახშირის ერთერთი კატეგორიაა ნახშირბადის დაბალი შემცველობის მქონე ქვანახშირი, რომელიც დაბალი ხარისხისაა. Fill-ი არ დაამუშავებს ამ დაბალი ხარისხის ქვანახშირს მანამ, სანამ არ დამთავრდება მალაროდან მოპოვებული ყველა სხვა დანარჩენი ქვანახშირი, რასაც, სავარაუდოდ, სამი წელი დასჭირდება. საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე Fill-მა გამოითვალა, რომ სამი წლის შემდეგ ქვანახშირის ფასი 20%-ით უფრო ნაკლები იქნება მიმდინარე სპოტ ფასთან შედარებით.

- (i) კონცეპტუალური საფუძვლები გავლენას ახდენს თუ არა მარაგის შეფასებაზე; და
- (ii) როგორ უნდა გამოითვალოს ქვანახშირის მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, მათ შორის დაბალი ხარისხის ქვანახშირის.

(7 ქულა)

(ბ) 20X6 წლის 30 ნოემბერს Fill-ის დირექტორებმა შეაფასეს, რომ სამთო მოპოვებითი მოწყობილობის გარკვეულ ნაწილს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ესაჭიროება რემონტი. მათი შეფასებით ეს დანახარჯები დაახლოებით \$2 მლნ იქნება მოწყობილობის ნაწილებისთვის და \$1 მლნ – საკუთარი თანამშრომლების შრომითი დანახარჯებისთვის. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ უნდა შეიქმნას ანარიცხი შემდგომი რემონტის დანახარჯებისათვის (რომელიც ორი წლის შემდეგ ჩატარდება 20X8 წელს) და ასევე საექსპლუატაციო/ტექნომოსახურების აუცილებელი დანახარჯებისთვის, ერთად. არ არსებობს სამთო მოპოვებითი მოწყობილობის ტექნომოსახურების იურიდიული ვალდებულება.

როგორც ზემოთ იყო ახსნილი, მოსალოდნელია, რომ მომავალში შემცირდება ქვანახშირის სარეალიზაციო ფასები, რაც გავლენას იქონიებს ფორვარდულ ხელშეკრულებებზე, რომელსაც Fill-ი ხელს მოაწერს მომდევნო ორ წელიწადში.

Fill-ის დირექტორები გთხოვენ რეკომენდაციას იმის თაობაზე, როგორ უნდა აისახოს სარემონტო დანახარჯები და ასევე ქვანახშირის ფასის დაცემა არის თუ არა გაუფასურების ინდიკატორი.

(8 ქულა)

(გ) Fill-ი ამავე დროს ერთობლივად აკონტროლებს ქვანახშირის მალაროებს სხვა საწარმოებთან ერთად. Theta მალარო ოთხ მეწილეს ეკუთვნის, Fill -ს ეკუთვნის მალაროს 28% და დანარჩენ სამ მეწილეს თითოეულს – 24%. მალაროს ექსპლუატაციის შეთანხმება მოითხოვს, რომ ნებისმიერი ძირითადი გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცონ მხარეებმა, რომელთაც მალაროში 72% წილი ეკუთვნით. Fill-ი იხილავს ერთ-ერთი მეწილის კუთვნილი 24% წილის შესყიდვის შესაძლებლობის საკითხს.

Fill-ის დირექტორებს რჩევა ესაჭიროებათ იმის შესახებაც, კონცეპტუალური საფუძვლების შემოთავაზებული გადასინჯვა გავლენას იქონიებს თუ არა გადაწყვეტილებაზე – Fill-ი აკონტროლებს თუ არა მალაროს.

დირექტორებს ასევე აინტერესებთ, ამ წილის შესყიდვა მიიჩნევა თუ არა საწარმოთა გაერთიანებად ფასს სტანდარტების მიხედვით.

(10 ქულა)

მოგეთხოვებათ:

ურჩიეთ Fill-ის დირექტორებს იმის თაობაზე, როგორ უნდა აისახოს ზემოაღნიშნული ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში, ამასთან მიუთითეთ შესაბამისი ფასს სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები და ასევე კონცეპტუალური საფუძვლების შემოთავაზებული გადასინჯვის საკითხიც, საჭიროებისამებრ.

შენიშვნა: ქულები ცალ-ცალკეა მიკუთვნებული ამ სამი საკითხიდან თითოეულზე.

(სულ: 25 ქულა)

მეოთხე კითხვა, 2018 წლის დეკემბერი

(ა) ფასს-ების პრაქტიკის დებულება – „ხელმძღვანელობის კომენტარები“ ქმნის ფართო, მაგრამ არასავალდებულო ჩარჩოს ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტის წარსადგენად, რომელიც დაკავშირებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. ხელმძღვანელობის კომენტარები განეკუთვნება კონცეპტუალური საფუძვლების მოქმედების სფეროს, და მამასადამე, ხარისხობრივი მახასიათებლები გამოყენებული უნდა იყოს როგორც ფინანსური ანგარიშგების, ისე ხელმძღვანელობის კომენტარების დოკუმენტის მიმართ.

(i) მოკლედ განიხილეთ ფასს-ების პრაქტიკის დებულების „ხელმძღვანელობის კომენტარების“, როგორც არასავალდებულო საფუძვლების ან როგორც ფასს სტანდარტის სახით გამოცემის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები;

(4 ქულა)

(ii) განიხილეთ, როგორ უნდა მოხდეს ხელმძღვანელობის კომენტარების მომზადებისას ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების: აღქმადობის, რელევანტურობისა და შესაძარისობის გამოყენება.

(5 ქულა)

(ბ) Holls-ი ჯგუფი ამზადებს 20X7 წლის 30 ნოემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას. Holls-ის დირექტორებს ერთ-ერთმა ინვესტორმა სთხოვა, რომ აეხსნა მისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადების აღრიცხვის წესი.

ეს ჯგუფი საქმიანობას ეწევა რამდენიმე საგადასახადო იურისდიქციაში და მასზე ვრცელდება წლიური საგადასახადო აუდიტის მოთხოვნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადასახდელი გადასახადის ოდენობის ცვლილება.

განგრძობითი საქმიანობიდან წლის მანძილზე მიღებული მოგება შეადგენდა \$300 მლნ-ს 20X7 წლის 30 ნოემბერს დასრულებული წლისთვის და ანგარიშგებაში ნაჩვენები საგადასახადო ხარჯი – \$87 მლნ-ს. ინვესტორი ვერ გაერკვა დარიცხული გადასახადი რატომ არ იყო გადასახადის განაკვეთისა და განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგების ნამრავლი. დირექტორებმა მოამზადეს პირობითი საგადასახადო ხარჯის შეჯერების დოკუმენტი ამ პერიოდში ფაქტობრივად დარიცხულ საგადასახადო ხარჯთან.

\$ მლნ

მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან, დაბეგვრამდე	300
პირობითი ხარჯი ადგილობრივი კორპორაციული გადასახადის განაკვეთით (22%)	66
განსხვავებები უცხოურ საგადასახადო განაკვეთებს შორის	10

დაუბეგრავ შემოსულობათან დაკავშირებული გადასახადი, რომელიც წარმოიშობა კომპანიების/სუბიექტების გაყიდვისას	(12)
გადასახადი, დაკავშირებული ბრენდების გაუფასურებასთან	9
სხვა საგადასახადო კორექტირებები	<u>14</u>
წლის მანძილზე დარიცხული საგადასახადო ხარჯი	<u>87</u>

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენებია გადახდილი მოგების გადასახადი \$95 მლნ, მაგრამ ახსნილი არ არის ფინანსური ანგარიშგების ზემოაღნიშნული მუხლების საგადასახადო შედეგები.

Holls-ისთვის 20X7 წლისთვის 30 ნოემბერს დასრულებული წლისთვის სათანადო საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 22%-ს. ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობაში შემოთავაზებულია ახალი საგადასახადო განაკვეთი 25%, რომელიც გამოყენებული იქნება 20X8 წლის 1 იანვრიდან. იმ ქვეყანაში, სადაც Holls-ია რეგისტრირებული, საგადასახადო კანონი და განაკვეთებში შესული ცვლილებები ძალაში მაშინ შევა, როდესაც მთავრობა დაამტკიცებს ამ კანონს. მთავრობამ 20X7 წლის 12 ნოემბერს დაამტკიცა ეს კანონი. ჯგუფისთვის მიმდინარე საშუალო შეწონილი საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 27%-ს. Holls-ი ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებაში არ ამუშავებს თავის მოსამრებსას იმის თაობაზე, როგორ შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო განაკვეთი მომავალში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მთავრობა, სავარაუდოდ, უნდა შეიცვალოს, რაც იმას გამოიწვევს, რომ ახალი მთავრობა თითქმის უდავოდ გაზრდის კორპორაციული გადასახადის განაკვეთს.

20X7 წლის 30 ნოემბრისთვის Holls-ს აქვს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები \$4.5 მლნ, რაც მოსალოდნელია რომ მომდევნო წელს ამოიწურება. გარდა ამისა, Holls-ს აქვს დასაბეგრი დროებითი სხვაობებიც \$5 მლნ, რომელიც დაკავშირებულია იმავე გადამხდელ კომპანიასთან და საგადასახადო ორგანოსთან. Holls-ი ვარაუდობს, რომ ამ დასაბეგრი დროებითი სხვაობებიდან 20X8 წელს \$3 მლნ ამოიწურება, ხოლო დარჩენილი \$2 მლნ ამოიწურება 20X9 წელს. მიმდინარე წლის დაწყებამდე, Holls-მა მნიშვნელოვანი ბარალი განიცადა.

მოგეთხოვებათ:

ბემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით აუხსნათ ინვესტორს ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადების აღრიცხვის ბუნება.

შენიშვნა: პასუხში უნდა ახსნათ გადასახადების შეჯერების საკითხი, განიხილოთ მიმდინარე და მომავალი საგადასახადო განაკვეთების გავლენა და ახსნათ გადავადებული გადასახადების აღრიცხვის წესი შესაბამისი ფასს სტანდარტების მიხედვით.

(14 ქულა)

კითხვის 4 (ბ) ნაწილთან დაკავშირებით, პროფესიონალური ქულები მოგენიჭებათ განხილვის აღქმადობისა და ხარისხისთვის.

(2 ქულა)
(სულ: 25 ქულა)

მოტივაციის თეორიები

მოთხოვნის იერარქიის მასლოუს თეორია

მოღულო „ბუღალტერი ბიზნესში“

„ბუღალტერი ბიზნესში“ მოღულოს სასწავლო პროგრამაში შეტანილია მოტივაციის ყველაზე ცნობილი თეორიების ძირითადი ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები გასულ საუკუნეში შეიქმნა, მათ აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ და ორგანიზაციის მართვაში ამ თეორიების მნიშვნელოვანი იდეები დღესაც ფართოდ და წარმატებით გამოიყენება, გარკვეულწილად ადაპტირებული სახით. ჩვენს სტატიაში რამდენიმე სიტყვით შევხებით მოტივაციის თითოეულ თეორიას და შემდეგ განვიხილავთ ა. მასლოუს მოთხოვნის იერარქიის თეორიას, მის დადებით მხარეებს და ნაკლოვანებებს.

მოტივაცია და ადამიანის მოთხოვნები

რამდენიმე სიტყვა მოტივაციის არსის თეორიებისა და პროცესის თეორიის შესახებ

მოტივაცია არის საკუთარი თავის და სხვების „ნაქებების/შეგულიანების“ პროცესი, იმოქმედონ პირადი და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მოტივაციის ეფექტიანობა დაკავშირებულია კონკრეტულ სიტუაციასთან.

მოტივაციას საკმაოდ დიდი ხანია იყენებენ. ნამცხვრისა და მათრახის მეთოდს (მოტივაციის ერთ-ერთი პირველი მეთოდი) ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟის ეპოქაში იყენებდნენ. თუმცა, ფ. ტეილორის პერიოდში მენეჯერებმა გაიცნობიერეს, რომ სულელური და საშიში იყო შიმშილის/საარსებო მინიმუმის ზღვარზე განსაზღვრული ხელფასი. მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების კვალდაკვალ, ნამცხვარი ყოველთვის არ აიძულებს ადამიანს, უფრო უკეთ იმრომოს.

ამ სფეროში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზ. ფროიდის ნაშრომებმა ფსიქოლოგიის შესახებ, რომელმაც შემოიტანა გაუცნობიერებლის ცნება. მეცნიერებმა წამოაყენეს თეზისი, რომ ადამიანები ყოველთვის არ მოქმედებენ რაციონალურად. ე. მეიოს ექსპერიმენტებმა გამოავლინა კადრების დენადობის შემცირება პროფესიის პრესტიჟის, სოციალური, ჯგუფური ურთიერთობების ამაღლების გამო.

გასული საუკუნის 40-იან წლებში მოტივაციისა და მოთხოვნის სერიოზული კვლევა დაიწყო მეცნიერებმა. 50-იან წლებში უკვე აღმოცენდა მოტივაციის არსის თეორიები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის მოთხოვნების კლასიფიკაციას (ამ თეორიის ცნობილი წარმომადგენლები არიან ა. მასლოუ, ფ. ჰერცბერგი, დ. მაკკლელანდი).

არსის თეორიების საპირისპიროდ, **პროცესის თეორია** კონკრეტულად ემყარება ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ მოთხოვნებსა და დაკავშირებულ ფაქტორებს – როგორ იქცევიან ადამიანები თავიანთი აღქმის გათვალისწინებით.

მოთხოვნის თეორია არის რალაციის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ნაკლებობა. მოთხოვნის თეორიები მოქმედების „ბიძგის“ სტიმულის როლს ასრულებს. მასლოუ აცხადებდა, რომ მოთხოვნის იერარქიაში ყოველი შემდეგი მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინა დონის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, ცხოვრებაში ყოველთვის ასე არ არის – ადამიანი შეიძლება ესწრაფოდეს, მაგალითად, სტატუსის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მანამ, სანამ საცხოვრებლის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

ფ. ჰერცბერგმა შემოგვთავაზა ფაქტორების ორი ჯგუფი (ჰერცბერგის ორი ფაქტორის თეორია).

- ◆ **ჰიგიენის ფაქტორები** (გარე ფაქტორები სამუშაოსთან მიმართებაში), რომელიც აქარწყლებს სამუშაოთი უკმაყოფილებას;
- ◆ **მოტივაციის ფაქტორები** (შიდა ფაქტორები, უშუალოდ კონკრეტული სამუშაოსთვის დამახასიათებელი).

პირველი ჯგუფის ფაქტორებში შედის ნორმალური სამუშაო პირობები, საკმარისი ხელფასი, ხელქვეითების პატივისცემა უფროსების მიერ. თუმცა, ეს ფაქტორები ავტომატურად არ ქმნის მოტივაციას. ფაქტორების მეორე ჯგუფი გულისხმობს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მოტივირებულად მუშაობა, როცა ხედავს მიზანს და მიაჩნია, რომ შესაძლებელია მისი მიღწევა.

შედგის კანონი (პ. ლოურენსი და ჯ. ლორში) ამტკიცებს, რომ ადამიანები ესწრაფვიან ისეთი ქცევის/ქმედების გამეორებისკენ, რომელიც მათთვის შედეგთან, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ასოცირდება (წარსულის მაგალითზე).

დ. მაკკლელანდმა გამოყო სამი მოთხოვნილება: ძალა, წარმატება, ჩართულობა/თანამონაწილეობა. წარმატება არ არის მხოლოდ შედეგი, არამედ ეს არის თავად წარმატების მიღწევის პროცესი. ჩართულობა არის რალაციისადმი კუთვნილების განცდა, სოციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, სოციალური ურთიერთქმედების განცდა. მაკკლელანდს მიაჩნდა, რომ აწმყოში, როდესაც ყველა პირველადი მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია, ამის შემდეგ უკვე გადამწყვეტ როლს თამაშობს უმაღლესი დონის მოთხოვნილებები.

ახლა განვიხილოთ მასლოუს მოთხოვნილებების იერარქიის თეორია და მისი დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები.

მოთხოვნილებების პირამიდა მასლოუს მიხედვით

სამოტივაციო ფაქტორების განსაზღვრის/გამოყოფის თვალსაზრისით საინტერესოა ა. მასლოუს მიერ შემოთავაზებული ადამიანის მოთხოვნილებების იერარქიის თეორია. (ნახ. 1).

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაამ მასლოუმ ჩაატარა გამოკითხვა/გამოკვლევა იმის შესახებ, თუ რა „ამოძრავებს“ ადამიანებს, რა უქმნის მათ ქმედებებს მოტივაციას. მან მოიპოვა სოლიდური ინფორმაცია, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბა იმ მოთხოვნილებების სია, რომელთა დაკმაყოფილებასაც ადამიანი ყველანაირად ცდილობს.

მასლოუს მოთხოვნილებების იერარქიის თეორიამ ფართო აღიარება მოიპოვა. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის მოთხოვნილებები ვითარდება ყველაზე დაბალი დონის მოთხოვნილებებიდან უმაღლესამდე და ინდივიდმა ჯერ უნდა დაიკმაყოფილოს ქვედა დონის მოთხოვნილებები, რათა გაჩნდეს უმაღლესი დონის მოთხოვნილებები.

მასლოუს მიაჩნდა, რომ ადამიანის მოთხოვნილებებს შემდეგი იერარქიული სტრუქტურა აქვს:

1. ფიზიოლოგიური (შიმშილი, წყურვილი, სექსი...);
2. უსაფრთხოებისა და დაცულობის (სტაბილურობის) მოთხოვნილება (დაცვა ტკივილისგან, ბრახისგან, შიშისგან, საცხოვრებელი პირობების სტაბილურობის მოთხოვნილება...);
3. სოციალური მოთხოვნილებები (სიყვარული, ოჯახი, მეგობრები, ურთიერთობა);
4. ეგოს მოთხოვნილებები (პატივისცემა, პრესტიჟი, კარიერა, წარმატება, საზოგადოებრივი აღიარება);
5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება (ცოდნის, უნარების რეალიზება, გააზრება და ა.შ.).

ამგვარად, მასლოუს აზრით, მოთხოვნილებები ქმნის ხუთ დონეს, რომელთაგან თითოეული სტიმულად, მოტივაციად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ იერარქიულ სტრუქტურაში დაბალ დონეზე მდებარე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ. ანუ, მასლოუს მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი ცდილობს დაიკმაყოფილოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. მხოლოდ პირველი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ იწყებს ადამიანი სხვაზე ფიქრს. ამრიგად, მშვიერი ადამიანი არ იფიქრებს საზოგადოებაში თავის უსაფრთხოებაზე, პატივისცემაზე ან აღიარებაზე, სანამ არ დაიკმაყოფილებს საკვების მოთხოვნილებას.



ნახ. 1

ამჟამად ამ კლასიფიკაციას შეიძლება დაემატოს ასევე რაციონალური და ირაციონალური მოთხოვნილებები, სულიერი და მატერიალური, ცნობიერი და არაცნობიერი, პირდაპირი და ირიბი და ა.შ.

გარდა ამისა, თანამედროვე მკვლევრები ამ მოთხოვნილებებს ხშირად უმატებენ ტრანსცედენტობას, ანუ სხვა ადამიანების დახმარების მოთხოვნილებას საკუთარი პოტენციალის რეალიზების მიზნით.

მოთხოვნილებების მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანისთვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია მათი უსასრულობა და სრული დაკმაყოფილების შეუძლებლობა ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობის გამო.

საინტერესოა, რომ თავად თეორიის ავტორს არ დაუხატია მოთხოვნილებები პირამიდის სახით – ასეთი სახით ეს თეორია ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა. მასლოუმ უბრალოდ ყველა მოთხოვნილება გაანაწილა აღმავალი თანმიმდევრობით (როგორც სქემაზეა ნაჩვენები). ყველა ეს მოთხოვნილება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, არ არსებობს არანაირი ერთიანი სტანდარტი. მაგალითად, ვილაცას აკმაყოფილებს ადამიანთა მცირე ჯგუფის პატივისცემა, ხოლო ვილაცა ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იწყებს პოლიტიკაში და საპრეზიდენტო რბოლაში ჩართვას. ამასთან, გარკვეული მოთხოვნილების შინაარსის ამგვარი გავრცელება თითოეულ იერარქიულ დონეზე არსებობს.

მასლოუს მოთხოვნილებების თეორიის/პირამიდის დადებითი მხარეები

მართალია, როგორც ნებისმიერ თეორიას, მასლოუს თეორიასაც გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად, თავის დროზე, ამ თეორიის გამოჩენა ორგანიზაციის მენეჯმენტის (და არა მარტო) თეორიაში რევოლუციური ნაბიჯი იყო. უფრო მეტიც, თანამედროვე ეპოქაშიც კი აუცილებლად უნდა გამოვყოთ მისი რამდენიმე უპირატესობა და დამსახურება:

- ♦ მასლოუს მოთხოვნილებების იერარქიის თეორიამ **დასაბამი დაუდო** მოტივაციის რამდენიმე თეორიის შექმნას, რომლებიც დღესაც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში;
- ♦ **შესაძლებელი გახდა** მოთხოვნილებების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, კლასიფიცირება, იმის ახსნა, თუ როგორ გადადის ადამიანი ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებიდან მეორეზე;
- ♦ ეს თეორია ფართოდ გამოიყენება მარკეტინგში, რადგან **ორგანიზაციას საშუალება ეძლევა გაიგოს, რა დონის მოთხოვნილებებს უნდა მოემსახუროს მიმდინარე ეტაპზე, ბაზრის არსებული პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად, მძიმე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, აქცენტი გადადის მასლოუს პირამიდის ქვედა საფეხურების მოთხოვნილებებზე;**
- ♦ მასლოუს თეორია ორგანიზაციას **ეხმარება** გრძელვადიანი გეგმებისა და პროგნოზების შემუშავებაში. **კომპანიები, რომლებიც განჭვრეტენ, შეიცნობენ, რა მოთხოვნილებები იქნება ადამიანებისთვის აქტუალური რამდენიმე წელიწადში, შეიძლება დარგის ლიდერები გახდნენ;**
- ♦ მასლოუს მოთხოვნილებების თეორიამ, **ამა თუ იმ ხარისხით, გავლენა მოახდინა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე, მათ განათლებაზე, ბიზნესპროცესებზე და ასევე ჯგუფური თერაპიული პრაქტიკის სხვადასხვა ფორმაზე, რომლებიც გამოიყენება სტრესის მოსახსნელად.**

შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთი მკვლევარი მასლოუს თეორიას შეუმჩნეველ რეკლუციას უწოდებს – ძნელია იპოვოთ ადამიანი, რომელსაც ამის შესახებ არასოდეს სმენია ან პრაქტიკაში არ დარწმუნებულა ამ თეორიის პოსტულატების მნიშვნელობაში.

მასლოუს თეორიის ნაკლოვანებები

- ♦ **ემპირიული კვლევის სიმწირე ამ თეორიის მხარდასაჭერად;**
- ♦ **შესწავლილი პიროვნებების სუბიექტური შერჩევა.** კვლევის დროს მეცნიერი მხოლოდ წარმატებული, ჯანმრთელი და აქტიური ადამიანებით დაინტერესდა, როგორიცაა, მაგალითად ელეონორა რუზველტი ან ალბერტ აინშტაინი. მაგრამ **ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ მათი ქცევა დამახასიათებელია ადამიანების უმეტესობისთვის?**
- ♦ ადამიანის კონკრეტული მოთხოვნილების **დაკმაყოფილების ხარისხის სანდო რაოდენობრივი მაჩვენებლების სიმწირე;**
- ♦ **თეორია არ ხსნის, რატომ ხდება, რომ ადამიანის ზოგიერთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგაც კი, ეს მოთხოვნილებები მას გარკვეული შემდგომი ქმედებების მოტივაციას მაინც უქმნის;**
- ♦ **ზოგიერთი სამოტივაციო ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს მოთხოვნილებების იერარქიის რამდენიმე დონეზე.** მაგალითად, ისეთი გავრცელებული, ტიპური

მოტივაცია, როგორცაა პირადი სარგებელი მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ/ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ვიფიქროთ, არამედ უსაფრთხოებისა და, გარკვეული გაგებით, პატივისცემის მოთხოვნილებასაც;

- ♦ ამ თეორიის პოზიციიდან შეუძლებელია **ადამიანების უჩვეულო ქმედებების მოტივების ახსნა**. კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავგანწირვას იჩენდნენ მაშინაც კი, როდესაც ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდა მათ ინტერესებს. ამასთან იმდენად, რომ ეს საფრთხეს უქმნიდა მათ ფიზიოლოგიურ არსებობას ან თუნდაც უსაფრთხოებას, ანუ იმ ორ მოთხოვნილებას, რომლებიც, მასლოუს თვალსაზრისით, ძირითადია მოთხოვნილებების იერარქიაში. ჯორდანო ბრუნო, რელიგიური მოწამეები, ჯარისკაცების გმირობა, რომლებიც ბრძოლაში თავს სწირავენ თანამებრძოლების გულისთვის – ყოველივე ეს არ ჯდება მოთხოვნილებების პირამიდაში;
- ♦ **მასლოუს მოთხოვნილებების სისტემაში თავად მოთხოვნილებების იერარქიული კიბე არის ნაკლოვანება**. კერძოდ, მასლოუს მიხედვით, ადამიანი თავის მოთხოვნილებებს ისე იკმაყოფილებს, თითქმის ქვემოთ ზემოთ მოძრაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ **ადამიანი არ დაიკმაყოფილებს ყველა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას**, ის ვერ დაიკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს (თუმცა, ეს თეზისი ხშირად წინააღმდეგობაში მოდის შემოქმედებითი ადამიანების ქცევასთან, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ ნამუშევრებზე ისე დიდხანს იმუშაონ, რომ ყურადღება არ მიაქციონ საკვებსაც კი).

შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ, მართალია, მასლოუმ თავად აღიარა, რომ მის იერარქიაში წესრიგი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ პრაქტიკაში/პრაქტიკული თვალსაზრისით, საეჭვოა თავად იერარქიული პრინციპი, რადგან ადამიანების უმეტესობა **ყველა ან, სულ მცირე, რამდენიმე მოთხოვნილების ერთდროულად დაკმაყოფილებას ცდილობს**.

დასკვნები

მასლოუს მოთხოვნილებების თეორიის უპირველესი ღირსება ის არის, რომ ამჟამად, მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია არის **მოტივაციის ერთადერთი თეორია**, რომელიც **ადამიანის ქმედებების მარტივად შეცნობის საშუალებას იძლევა**, ასე ვთქვათ, რამდენიმე წინადადებით და, ამავე დროს, **საკმაოდ უნივერსალურია**, რომლის ძირითადი პოსტულატები **ნებისმიერ სოციალურ ფენას** მიესადაგება.

თუმცა, მისი შემდგომი გამოყენება პრაქტიკაში **დამატებით უნდა ითვალისწინებდეს** კულტურულ განსხვავებებს, სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ტრადიციებს, აგრეთვე ადამიანთა აღქმაში განსხვავებებს, რაც განისაზღვრება პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლებით. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ **მასლოუმ შემოიღო საპირისპირო ტენდენციების პრინციპიც**, მაგალითად, მან განიხილა ზრდის და სოციალური სტატუსის ამაღლების შიში, ანუ სამოტივაციო პოლიტიკა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, როდესაც შესაძლებელი გახდება ამ ტენდენციების დაძლევა.

სტატია მოამზადა „ბულაღტერი ბიზნესში“
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა



ACCA ხაზს უსვამს მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებს შორის შესაბამისობის საჭიროებას

ACCA მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების შექმნის მიმართ გლობალური მიდგომის მომხრეა.

ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (ESRS) საცდელი პროექტების (EDs) კომენტირებისას, ACCA ამბობს, რომ იგი მუდმივად მხარს უჭერს მდგრადობის გამჟღავნების სტანდარტების შემუშავების მიმართ გლობალურ მიდგომას.

ACCA სრულად უჭერს მხარს ISSB-ის (მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს) როლს მსოფლიოს მასშტაბით მდგრადობის შესახებ ანგარიშგების თანმიმდევრული და შედარებადი გლობალური საბაზისო აღქმის ფორმირებაში. თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური ორგანო აღნიშნავს, რომ ევროპის

მწვანე გარიგება შესაძლოა, დამატებით მოთხოვნებს საჭიროებდეს. ACCA მოუწოდებს EFRAG-ს (ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფს) ESRS-სა და ISSB-ს გლობალურ საბაზისო ხაზს შორის მაქსიმალური შესაბამისობისკენ.



იენ-პეი ჩენი, ACCA-ს კორპორაციული ანგარიშგების უფროსი მენეჯერი ამბობს:

„მაქსიმალური თანხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა ადვილად შესადარებელი ინფორმაცია ჰქონდეთ მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კომპანიებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მდგრადობასთან დაკავშირებული ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ღირებულება. განსაკუთრებით იმ ბიზნესებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ ანგარიშის წარდგენა როგორც ESRS, ისე - ISSB სტანდარტების შესაბამისად.“

კომპანიები, რომლებსაც სჭირდებათ ანგარიში ორივე სტანდარტის მიხედვით, მოიცავს ევროპულ ბიზნესებს, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო დონეზე და არაევროკავშირის ბიზნესები ფილიალებით ან შვილობილი კომპანიებით, რომლებიც ექცევიან კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) ფარგლებში.

გლობალური თანხვედრის ხელშეწყობისა და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გასაადვილებლად, ACCA ევროკომისიას და EFRAG-ს მოუწოდებს, ISSB სტანდარტების გუმჯობესების შემდეგ, ისინი მიიჩნიონ სხვა მდგრადობის სტანდარტების გლობალურ ეკვივალენტად.

ACCA შეშფოთებულია ინფორმაციის გამჟღავნების რაოდენობით, რომელიც მოთხოვნილია ESRS-ის საცდელ პროექტში. როგორც ჩანს, ეს რთული აღმოჩნდება რეგულირების სფეროში შემავალი კომპანიებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ შეგროვებული ინფორმაციის დიდი

რაოდენობაა საჭირო სისტემურ ცვლილებებთან ერთად. ამასთანავე, ამან შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ანგარიშგების რელევანტურობა.

ეს ასევე გავლენას მოახდენს ღირებულების ჯაჭვში შემავალ სხვა კომპანიებზე, რომელთაგანაც შეიძლება მოითხოვნილ იქნეს ინფორმაციის მიწოდება. ბევრი მათგანი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესი, რომლებსაც შესაძლოა ამისათვის საჭირო რესურსები უბრალოდ არ ჰქონდეთ.



იენ-პეიმ დასკვნის სახით განაცხადა:

„არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა სტანდარტების ორ კომპლექტს შორის უფრო დიდი თანხვედრისთვის და ამის მიღწევა შესაძლებელია ESRS-ის საბოლოო ვერსიის შექმნისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, ვინც გავლენას ახდენს მატერიალურობის დონის განსაზღვრაზე. ჩვენ მოვუწოდებთ EFRAG-ს, მოგვანოდოს უფრო მკაფიო განმარტება და მითითებები ორმაგი მატერიალურობის შესახებ: კონკრეტულად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეფასდეს ზემოქმედების მატერიალურობა პრაქტიკაში და უზრუნველყოს, რომ ფინანსური მატერიალურობა შეესაბამებოდეს ISSB-ს განმარტებას.“

წყარო: accaglobal.com

ფირმების წარმატება, რომლების კრიპტოვალუტების ჰაკერებისგან დაცვას უზრუნველყოფენ



იმ დროს, როდესაც ბევრი კრიპტოკომპანიის ქონება მნიშვნელოვნად შემცირდა, ინდუსტრიის ერთი კუთხე განვითარებას აგრძელებს.

კრიმინალები, მათ შორის ჩრდილოეთ კორეელი ჰაკერები, სულ უფრო ხშირად იღებენ მიზნად კრიპტოსფეროს საფუძვლად არსებულ პროგრამულ ინფრასტრუქტურას. შედეგად, ფირმებს, რომლებიც იკვლევენ პროგრამული კოდების სისუსტეებს, უფრო მეტი საქმე აქვთ, ვიდრე ოდესმე. მაშინ, როცა კადრების შემცირება კრიპტოსფეროს ყოველდღიურობად იქცა, კიბერუსაფრთხოების ინდუსტრია აგრძელებს კადრების აყვანას, მომსახურების ღირებულების ზრდასა და ახალი კაპიტალის მოზიდვას.

მათი მზარდი წარმატება ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ იღვიძებს ინდუსტრია დახვეწილი ჰაკერების საფრთხის წინაშე, რომლებმაც Chainalysis-ის თანახმად, 2022 წელს, დაახლოებით, 2 მილიარდი

დოლარი მოიპარეს ციფრული აქტივების პროტოკოლებიდან.

კრიპტოსტარტაპ Morpho Labs-ის დამფუძნებელი, **პოლ ფრამბოტის** შეტყობინებაში ვკითხულობთ: „**ძალიან ბევრი ფული დავხარჯეთ აუდიტზე. ჩემი აზრით, დეცენტრალიზებულ ფინანსებში (DeFi) უსაფრთხოებას საკმარის ყურადღებას არ უთმობენ.**“

დეცენტრალიზებული ფინანსები, შემოკლებით DeFi გულისხმობს სივრცეს, სადაც ადამიანები ვაჭრობენ, იღებენ ან გასცემენ სესხებს კრიპტოვალუტაში ცენტრალური მარეგულირებლის ჩართულობის გარეშე.

ფრამბოტის თქმით, მის კომპანიაში გასულ წელს პროგრამული კოდის 10-ზე მეტი აუდიტი ჩატარდა.

ინვესტორების ყურადღებას იპყრობს უსაფრთხოებაზე მზარდი მოთხოვნა. CB Insights-ის თანახმად, ვენჩურული კაპიტალის ფირმებმა 257 მილიონი დოლარის

ინვესტიცია განახორციელეს კრიპტოაუდიტისა და უსაფრთხოების კომპანიებში მიმდინარე წელს, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა მთელი 2021 წლის 185-მილიონიან მაჩვენებელთან შედარებით.

კრიპტოაუდიტი თავისი შინაარსით არის კოდის მიმოხილვა გამოცდილი დეველოპერების მიერ, რომლებიც ამოწმებენ მას შეცდომების, უსაფრთხოების პრობლემების და სხვა საკითხების იდენტიფიცირებისთვის, რამაც შეიძლება ტექნოლოგიას გაუთვალისწინებელი გზით მუშაობისკენ უბიძგოს. ზოგიერთ შემთხვევაში, პროტოკოლის დეველოპერს შეუძლია საკუთარი ძალებით აღმოეხვრას აღმოჩენილი სისუსტეები, შემდეგ კი ეს გაუმჯობესებები აუდიტორებმა გადაამოწმო.

ზოგიერთი კრიპტოაუდიტორი ფირმა იყენებს ავტომატურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კოდის სკანირებას ახდენენ. სხვები, როგორიცაა OpenZeppelin, განათავსებენ მინიმუმ ორ აუდიტორს, რომლებიც პროგრამული კოდის თითოეულ სტრიქონს დეტალურად განიხილავენ.

კრიპტორეკრუტირების ფირმის Plexus Resource Solutions-ის დამფუძნებლის, ზეთ კუსეიროს თქმით, გამოცდილი ბლოკ-ჩეინის აუდიტორების ხელფასი შესაძლოა წელიწადში \$400,000-ს აღწევდეს. მათი ანაზღაურება, როგორც წესი, დაახლოებით, 20%-ით აღემატება იმ დეველოპერთა ანაზღაურებას, რომლებიც Solidity-ზე მუშაობენ, კრიპტოპროგრამირების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ენაზე.

„ამის მიზეზი ისაა, რომ აუდიტორს უნდა ჰქონდეს კოდის წერის ფართო გამოცდილება და თან კარგად ესმოდეს არქიტექტურა იმისათვის, რომ სისუსტეების აღმოჩენა შეძლოს,“ - თქვა კუსეირომ.



2022 წლის ივლისის ჩათვლით, კრიპტოაუდიტის სერვისების მომწოდებელ კომპანია ConsenSys-ს 1,161 გარე პროექტმა მიმართა სმარტ კონტრაქტის კოდის აუდიტის თხოვნით, რაც ახლოსაა სრული 2021 წლის რიცხვთან და მნიშვნელოვნად აღემატება 2020 წლის 247 მოთხოვნას. კლიენტებს 320,000 დოლარამდე ღირებული აუდიტის სერვისის რიგში ლოდინი ზოგჯერ ცხრა თვის განმავლობაშიც კი უწევთ.

კონკურენტ Trail of Bits-ის მომსახურების ფასები, ბოლო 12 თვის განმავლობაში, დაახლოებით, 25%-ით გაიზარდა. კომპანიის ვიცეპრეზიდენტის, ნიკ სელბის თქმით, აღნიშნული ზრდა იმითაა გამოწვეული, რომ გაზრდილმა მოთხოვნამ კომპანიის წარმადობაზე მნიშვნელოვანი წნეხი წარმოშვა.

OpenZeppelin-მა თავისი სამუშაო ძალა წელს 63%-ით გაზარდა. კომპანიამ სხვა კრიპტოკომპანიების მიერ ვარდნის პერიოდში დათხოვნილი სპეციალისტების აყვანის სტრატეგია აირჩია, თქვა სტივ გრანტმა, კომპანიის ზრდის ხელმძღვანელმა. გრანტის თანახმად, კომპანია 2022 წელს თანამშრომლების რაოდენობის გაორმაგებას გეგმავს.

წყარო: accountingtoday.com

ვებგვერდი, 01/08/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017609

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №262 2022 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 81¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 - მე-8 პუნქტები:

„6. თუ აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდებულ იქნა ამავე მარკების სახეობისთვის შეუსაბამო საქონელი, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი მარკები ჩათვალოს დაბრუნებულად და უტილიზირებულად, თუ შესრულებულია ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

ა) საბაჟო საწყობში განხორციელდა ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა არასწორი ნიშანდება;

ბ) აქციზური/არააქციზური მარკებზე სრულყოფილად იდენტიფიცირდება შესაბამისი რეკვიზიტები;

გ) შერჩეული პირისთვის და საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილია ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული აქციზური/არააქციზური მარკების სერიული ნომრის/სერიული ნომრის დიაპაზონის მითითებით. აღნიშნული ინფორმაციის (რეესტრის) სისწორე ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებულია (არსებობის შემთხვევაში) გადასახადის გადამხდელის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) შესაბამისი ინფორმაციის (რეესტრის) წარდგენიდან შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ადგილზე გადაამოწმოს ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შერჩეულ პირს და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ბ.ა) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) აქტი შესაბამისი მარკების განადგურების შესახებ;

ბ.ბ) არაუგვიანეს საქონლის მიწოდებისა ან საბაჟო საწყობიდან გატანის მომენტისა, ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული ძველი და ახალი მარკების სერიული ნომრების/სერიული ნომრების დიაპაზონების მითითებით.

8. გადასახადის გადამხდელის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცხადდება ბათილად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვებგვერდი, 01/08/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017610

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანებ №264
2022 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

ერთ კომპანიასთან დავდეთ ხელშეკრულება პროდუქციის მიწოდებაზე, რომელიც საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეთა რეესტრშია და შესაბამისად, განთავისუფლებულია დღგ-სგან. ხელშეკრულება დავდეთ დღგ-ს გარეშე, ანუ 10,000 ლარზე ნაცვლად 11,800 ლარისა. გვაინტერესებს, პროდუქციას როცა მივაწვდით, სასაქონლო ბედნადები და ანგარიშ-ფაქტურა 10,000 ლარზე უნდა გამოვწეროთ ხომ? ასევე გვაინტერესებს ჩავითვლით თუ არა დღგ-ს საქონლის შეძენისას?

პასუხი:

თქვენს ორივე კითხვაზე პასუხია - „დიახ“:

1. დიახ, 10000 ლარზე (ვაკეთებთ დაშვებას, რომ რეესტრში მითითებული კომპანია მასზე მიწოდებულ პროდუქციას იყენებს რეესტრში მითითებულ მოქმედ (არავადაგასულ) პროექტში).
2. დიახ, ჩავითვლით, თუ ჩათვლის შემზღუდველი სხვა გარემოება არ გაქვთ.

კითხვა:

არარეზიდენტი იურიდიული პირი პატიობს სესხს და სესხის პროცენტს საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირს. ეს რომ შემოსავალი არის გასაგებია, უბრალოდ, გვაინტერესებს პროცენტის ნაწილში მაინც დასაბეგრია ნაპატიები თანხა?

პასუხი:

სესხისა და პროცენტის პატიების მომენტში ეს თანხა არ დაიბეგრება. იგი ჩავითვლებთ ერთობლივ შემოსავალში და დაექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას:

- ა) მომდევნო წლის 1 აპრილამდე - „არარეზიდენტი მოდელის“ საწარმოსთვის;
- ბ) მიღებული მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას - „რეზიდენტი მოდელის“ საწარმოსთვის.

კითხვა:

თუ ქართულ კომპანიას IT მომსახურებას უწევს არარეზიდენტი სხვა ქვეყანაში, როგორ და რით დაიბეგრება? არის ერთი ნიუანსი, რომ ეს ქართული კომპანია ვირტუალური ზონის პირია და განთავისუფლებულია ყველა გადასახადისგან, გარდა საშემოსავლო გადასახადისა.

პასუხი:

ჩვენი აზრით, კითხვაში მოცემული ინფორმაცია არ არის საკმარისი კონკრეტული პასუხის გასაცემად. მაგალითად, - არის თუ არა ეს არარეზიდენტი მეწარმე სუბიექტი („დასაბეგრი პირი“); სად მოიხმარება შესაბამისი პროდუქტი - საქართველოში თუ უცხოეთში;

არსებობს თუ არა იმ ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიცაა ეს პირი, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება და ა.შ.

კითხვა:

შპს-მ საქონელი მიყიდა სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ შპს-ს. იმის გამო, რომ მიწოდება დაგვიანდა შპს-ს დაეკისრა პირგასამტეხლო, რომელიც გადახდილ იქნა ბიუჯეტში, შესაბამის კონკრეტულ კოდზე. ამ შემთხვევაში აღნიშნული თანხა წარმოადგენს თუ არა საბიუჯეტო გადასახადის ჯარიმას და ასევე, პირგასამტეხლო იბეგრება თუ არა მოგების გადასახადით?

პასუხი:

თუ ეს პირგასამტეხლო ნამდვილად ბიუჯეტს ეკუთვნოდა და ბიუჯეტშია გადახდილი, მაშინ ეს პირგასამტეხლო მოგების გადასახადით დაიბეგრება.

კითხვა:

შპს-ს სურს თანამშრომლად აიყვანოს კოსტარიკას მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს კოსტარიკაში და იმუშავებს დისტანციურად, გვაქვს თუ არა უფლება გავუფორმოთ შრომითი ხელშეკრულება და თუ კი, როგო უნდა დავბეგროთ მისი ხელფასი და სხვა განაცემები?

პასუხი:

შრომითი ხელშეკრულების გაფორმების უფლება, რასაკვირველია, გაქვთ და ამ არარეზიდენტის ხელფასი ისევე დაიბეგრება, როგორც რეზიდენტი დაქირავებულისა, თუმცა, შრომითი ხელშეკრულების ხასიათიდან და პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როცა ხელფასის სახით განაცემი არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და დაბეგვრას არ დაექვემდებარება. რაც შეეხება სხვა (არასახელფასო) განაცემებს, სხვადასხვა შემთხვევაში ისინი სხვადასხვაგვარად შეიძლება დაიბეგროს (მ.შ. დღგ-ითაც) - განაცემის ხასიათიდან გამომდინარე.

კითხვა:

შპს A-ს აქვს შპს B-ს ვალი (სესხი და პროცენტი). შპს B ხდება A-ს 100% წილის მფლობელი. მოყვება თუ არა რაიმე სახის გადასახადი ამ ოპერაციას?

პასუხი:

ზოგადად, მხოლოდ იმის გამო, რომ B ხდება A-ს 100% წილის მფლობელი, შპს-ებისთვის ეს ოპერაცია რაიმე სახის დაბეგვრას არ წარმოშობს. დაბეგვრა შეიძლება შეეხოს შპს A-ს დამფუძნებელს, რომელმაც გაყიდა წილი.

თუმცა კითხვაში არ არის დაკონკრეტებული რა ემართება სესხისა და პროცენტის თანხებს (მის სანაცვლოდ ხდება შეძენა თუ არა) ამიტომაც ამომწურავი პასუხის გაცემა აუცილებელი ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ე.წ. შინაარსის ფორმაზე აღმატებულიობის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობაც. შემოსავლების სამსახურის მიერ სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული მეთოდური მითითების მიხედვით თუ A და B-ს ერთი და იგივე ფიზიკური პირი დამფუძნებელი ჰყავს და, მაგალითისთვის, B იყიდის A-ს წილს ფიზიკური პირი დამფუძნებლისგან (რომელიც ამავე დროს B-ს დამფუძნებელიცაა) აღნიშნულ და სხვა შემთხვევაშიც (თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს) შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა მოახდინოს ოპერაციის გადაკვალიფიცირება და წილისათვის გადახდილი თანხა დაბეგროს დივიდენდად. იხილეთ 2022 წლის 28 ივლისის №20231 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითება „სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ“, მაგალითი N1.

კითხვა:

თანამშრომელმა, მაისის თვეში, საზღვარგარეთ შეიძინა საწვავი და გადაიხდა ბარათით - ანუ გადახდა ბარათის ამონაწერში ჩანს. აქვე აღსანიშნავია, რომ სამწუხაროდ ერთი ჩეკი დაიკარგა. ვინაიდან ამონაწერში ჩანს, მაინც შემიძლია თუ არა შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩავთვალო და თანხა ჩამოიწეროს?

პასუხი:

თქვენს კითხვაში არ არის დაკონკრეტებული, თუ ვისი ბარათით (თანამშრომლის თუ კომპანიის) მოხდა გადახდა და ვის საბანკო ამონაწერშია დაფიქსირებული ეს გადახდა.

თუ საუბარია იმაზე რომ გადახდა მოხდა კომპანიის ბიზნეს ბარათიდან და ეს თანხა ჩამოჭრილია კომპანიის საბანკო ანგარიშიდან, ასევე იმ დაშვებით რომ კომპანიას რეალურად უფიქსირდება საზღვარგარეთ ხარჯის განწვეის მიზნობრიობა (საწვავის ხარჯი კავშირშია ეკონომიკურ საქმიანობასთან), ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საბანკო ამონაწერიც სათანადო დოკუმენტია.

კითხვა:

კომპანიამ ჩამოიტანა ტანსაცმელი, რაც დოკუმენტების თანახმად დაუჯდა 400,000 ლარი. თუ კომპანია შემდგომში გაყიდის ამ ტანსაცმელს 300,000 ლარად, ანუ წავა წაგებაში, ამ შემთხვევაში რა საგადახდო ვალდებულებები წარმოექმნება კომპანიას?

პასუხი:

შესაბამისი პირობების არსებობისას (მაგალითად - გარიგება ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ან მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან და ა.შ.) თქვენ შეიძლება დაიბეგროთ ამ საქონლის საბაზრო ფასიდან გამომდინარე, თუმცა, საბაზრო ფასი და თვითღირებულება ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არ არის და საბაზრო ფასი თვითღირებულებაზე ნაკლებიც შეიძლება იყოს. მთავარია, დადგინდეს, რომ ამგვარ გარიგებას გადასახადებისგან თავის არიდების მიზანი არ აქვს.

თუ დადგინდა, რომ დაბეგვრის მიზნებისთვის საბაზრო ფასის გამოყენების წინაპირობები არ არსებობს, დაიბეგრებით 300<000 ლარიდან გამომდინარე.

კითხვა:

საბაჟო ცვლილებების გამო მაქვს შემდეგი სახის პრობლემა: როგორც იცით, განბაჟებას არ ექვემდებარება 300 ლარამდე ამანათები მაგრამ იმის გამო, რომ ბევრს ვინერდი უცხოეთიდან, საბაჟომ გადანყვიტა ჩემი ყველა გამონერილი ამანათი კომერციულად გაატაროს და დღეს მახდევინებს ყველაფერზე. ხომ ვერ მირჩევთ, რა შეიძლება გავაკეთო ეგ რომ ავირიდო თავიდან? მცირე მენარმედ რომ დავრეგისტრირდე დღეს მაინც გადამახდევინებენ? ან, კონკრეტული ინფორმაცია ხომ არ გაქვთ რა ხდება საბაჟოზე და რის მიხედვით ჩაგრავენ ადამიანებს?

პასუხი:

ფიზიკური პირის შემთხვევაში დღგ-ის მიზნებისთვის იმპორტის გადასახდელებით დაბეგრას არ ექვემდებარება:

საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის,

თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი უფლებები ილახება (გჩაგრავენ), დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებულ დავების განმხილველ ორგანოებს (შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭო), საერთო ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

რაც შეეხება საბაჟო ორგანოს მოქმედებას, თქვენთვის უნდა წარმოედგინათ საგადასახადო მოთხოვნა, რომლის გასაჩივრებაც შეგიძლიათ შემოსავლების სამსახურში ან სასამართლოში ამ მოთხოვნის თქვენთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

კითხვა:

საწარმოს ოფისში საკმარისად ბევრი მიმონერა და გზავნილები აქვს. გვაინტერესებს, საქართველოს ფოსტით როცა ვსარგებლობთ, იქ მოცემული საღაროს ქვითარი და რაღაც სპეციალური ბლანკი, თუ შეიძლება ჩავითვალოთ საგადასახადო დოკუმენტად და საგადასახდო ხარჯად?

პასუხი:

თუ რეალურად დასტურდება ასეთი ხარჯის გაწევა და ეს ხარჯი კავშირშია ეკონომიკურ საქმიანობასთან -დიახ, შეიძლება.

კითხვა:

შპს-ს უნდა რომ ისესხოს ფული (აშშ დოლარი) არარეგისტრირებული ფიზიკური პირისგან. გვაინტერესებს მაქსიმუმ რამდენ პროცენტში შეუძლია სესხება და რა ვალდებულებები აქვს შპს-ს (გარდა პროცენტის გადახდისა) საგადასახდო კუთხით?

პასუხი:

1. თუ გამსესხებელი ფიზიკური პირი და მსესხებელი შპს არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები, მაშინ სესხის პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს წლიურ 24 %-ს. ამაზე მაღალი პროცენტის შემთხვევაში აღმატებული თანხა დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ხოლო თუ პირები ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, მაშინ სესხის პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზრო პროცენტს შესაბამისი ხასიათის სესხზე. აღმატებული თანხა ასევე დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2. სესხზე პროცენტის გადახდისას ფიზიკურ პირს დაუკავებთ საშემოსავლო გადასახადს 5 %-ის ოდენობით.

კითხვა:

გთხოვთ განგვიმარტოთ: უცხოელი ინვესტორებისათვის რა საგადასახადო შეღავათები მოქმედებს საქართველოში, რა გადასახადებში და რა სახის განაკვეთებით?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსში 10-დან 20-მდე განსხვავებული საგადასახადო შეღავათის მომტანი სტატუსი (გააჩნია საქმიანობის სფეროსა და სხვა დეტალებს) არსებობს, აქედან გამომდინარე ჟურნალის კითხვა-პასუხის ფორმატში ყველა ამ სტატუსისა და მათთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათებზე ფიზიკურად ვერ ვისაუბრებთ.

სამწუხაროდ, თქვენს კითხვაში არ არის რაიმე სახის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემდა. უმჯობესი იქნება, თუ თქვენთვის სანდო კონსულტანტს მიმართავთ.

კითხვა:

ფიზიკური პირი, რომელმაც 2011 წლის ივლისში დაარეგისტრირა შპს, 2022 წელს იყიდის შპს-ს წილს. ვიბეგრებით თუ არა საგადასახადო კუთხით რაიმე გადასახადებით?

პასუხი:

ფიზიკური პირი შპს-ის წილის გაყიდვისას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში (როცა წილის რეგისტრაციასა და გაყიდვას შორის 2 წელზე მეტია გასული) საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება. ამ შემოსავალმა შეიძლება იმოქმედოს 2023 წელს დასადეკლარირებელ ფიზიკური პირის ქონების გადასახადის (2022 წლის ქონების გადასახადი გარდა მიწისა) ოდენობაზე.

კითხვა:

ვართ შპს, არარეზიდენტ ფიზიკურ პირს აშშ-ში გადავურიცხეთ მომსახურების თანხა. რა დეკლარაცია უნდა წარვადგინოთ და რითი ვიბეგრებით?

პასუხი:

1. თუ გადახდილი თანხა სსკ-ს 104-ე მუხლის მიხედვით ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თქვენ უნდა წარადგინოთ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაცია (ე.წ. „ყოველთვიური საშემოსავლო“), დაუკავოთ არარეზიდენტს შესაბამისი გადასახადი (განაკვეთი შეიძლება იყოს 5, 10, 15 ან 20% - იხ. საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლი) და გადარიცხოთ ბიუჯეტში. სამწუხაროდ თქვენს კითხვაში არ არის დაკონკრეტებული ის, თუ რისთვის გადაუხადეთ ეს თანხა არარეზიდენტს, რის გამოც ამაზე უფრო მეტად კონკრეტული პასუხის გაცემა ჩვენის მხრიდან ვერ მოხდება.

2. ამასთან, თუ სსკ-ის 1621 მუხლის მიხედვით მომსახურება ჩაითვალა საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად, თქვენ უნდა დაარიცხოთ 18 % უკუდაბეგვრის დღგ, წარადგინოთ შესაბამისი დეკლარაცია და თუ დღგ-ის გადამხდელი ხართ, იმავე დეკლარაციით ჩაითვალოთ დარიცხული დღგ-ის თანხა (საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შემლუდვების გათვალისწინებით). ხოლო თუ არ ხართ დღგ-ის გადამხდელი, მაშინ დარიცხული თანხა უნდა გადაიხადოთ ბიუჯეტში.

ინფორმაცია გირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის აგვისტოში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიშნული კრონა	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური ზლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.08.22	1,4464	3,8018	2,8299	3,3650	2,0462	2,4108	2,8584	5,9789	5,7341	0,7012	2,7238	2,9043	1,1506	2,7652
02.08.22	1,4405	3,7835	2,8168	3,3649	2,0307	2,3999	2,8468	5,9406	5,7152	0,7029	2,7107	2,8943	1,1437	2,7484
03.08.22	1,4338	3,7658	2,8030	3,3444	2,0154	2,3884	2,8218	5,9572	5,6896	0,7060	2,7005	2,8781	1,1376	2,7411
04.08.22	1,4230	3,7393	2,7835	3,3299	1,9981	2,3710	2,8123	5,9277	5,6504	0,7035	2,6746	2,8492	1,1289	2,7332
05.08.22	1,4201	3,7319	2,7775	3,3216	1,9997	2,3661	2,8109	5,8836	5,6382	0,7015	2,6800	2,8397	1,1262	2,7244
06.08.22	1,4215	3,7364	2,7806	3,2959	2,0047	2,3692	2,7844	5,9043	5,6450	0,7056	2,6804	2,8456	1,1308	2,7178
07.08.22	1,4215	3,7364	2,7806	3,2959	2,0047	2,3692	2,7844	5,9043	5,6450	0,7056	2,6804	2,8456	1,1308	2,7178
08.08.22	1,4215	3,7364	2,7806	3,2959	2,0047	2,3692	2,7844	5,9043	5,6450	0,7056	2,6804	2,8456	1,1308	2,7178
09.08.22	1,4140	3,7176	2,7662	3,2835	1,9830	2,3583	2,7798	5,8846	5,6238	0,7036	2,6666	2,8343	1,1277	2,7141
10.08.22	1,4180	3,7265	2,7729	3,2813	1,9762	2,3629	2,7924	5,8972	5,6566	0,7032	2,6688	2,8440	1,1317	2,7100
11.08.22	1,4171	3,7267	2,7728	3,2752	1,9819	2,3636	2,7985	5,8958	5,6432	0,6970	2,6718	2,8530	1,1357	2,7086
12.08.22	1,4274	3,7523	2,7916	3,2960	1,9982	2,3794	2,8409	5,9559	5,6907	0,7074	2,6939	2,8707	1,1462	2,7016
13.08.22	1,4255	3,7475	2,7880	3,2829	1,9869	2,3763	2,8405	5,9539	5,6978	0,7082	2,6678	2,8723	1,1448	2,7089
14.08.22	1,4255	3,7475	2,7880	3,2829	1,9869	2,3763	2,8405	5,9539	5,6978	0,7082	2,6678	2,8723	1,1448	2,7089
15.08.22	1,4255	3,7475	2,7880	3,2829	1,9869	2,3763	2,8405	5,9539	5,6978	0,7082	2,6678	2,8723	1,1448	2,7089
16.08.22	1,4537	3,8216	2,8426	3,3636	2,0232	2,4224	2,8772	6,0695	5,8167	0,7147	2,7077	2,9462	1,1633	2,7877
17.08.22	1,4509	3,8157	2,8378	3,3682	2,0227	2,4184	2,8780	6,0430	5,8133	0,6987	2,6934	2,9469	1,1570	2,8019
18.08.22	1,4575	3,8326	2,8507	3,3900	2,0317	2,4287	2,8901	6,0667	5,8373	0,7054	2,6980	2,9438	1,1619	2,8019
19.08.22	1,4499	3,8119	2,8357	3,3614	2,0182	2,4156	2,8862	6,0035	5,8104	0,7007	2,6801	2,9257	1,1535	2,7891
20.08.22	1,4357	3,7757	2,8084	3,3074	1,9986	2,3923	2,8508	5,9123	5,7535	0,6899	2,6454	2,9177	1,1402	2,7908
21.08.22	1,4357	3,7757	2,8084	3,3074	1,9986	2,3923	2,8508	5,9123	5,7535	0,6899	2,6454	2,9177	1,1402	2,7908
22.08.22	1,4357	3,7757	2,8084	3,3074	1,9986	2,3923	2,8508	5,9123	5,7535	0,6899	2,6454	2,9177	1,1402	2,7908
23.08.22	1,4271	3,7527	2,7910	3,2923	1,9808	2,3778	2,8508	5,8588	5,7131	0,6859	2,6187	2,9098	1,1322	2,7896
24.08.22	1,4210	3,7370	2,7793	3,2931	1,9837	2,3672	2,8571	5,8236	5,6901	0,6774	2,6176	2,8980	1,1274	2,8000
25.08.22	1,4303	3,7605	2,7972	3,3199	2,0051	2,3834	2,9065	5,8594	5,7309	0,6795	2,6435	2,9263	1,1358	2,8192
26.08.22	1,4646	3,8514	2,8645	3,3952	2,0416	2,4407	2,9789	6,0236	5,8739	0,7008	2,7111	2,9786	1,1619	2,8705
27.08.22	1,4647	3,8515	2,8648	3,3860	2,0420	2,4414	2,9663	6,0238	5,8789	0,6991	2,7070	2,9713	1,1620	2,8608
28.08.22	1,4647	3,8515	2,8648	3,3860	2,0420	2,4414	2,9663	6,0238	5,8789	0,6991	2,7070	2,9713	1,1620	2,8608
29.08.22	1,4647	3,8515	2,8648	3,3860	2,0420	2,4414	2,9663	6,0238	5,8789	0,6991	2,7070	2,9713	1,1620	2,8608
30.08.22	1,4609	3,8427	2,8584	3,3476	2,0258	2,4355	2,9270	6,0233	5,8691	0,6979	2,6888	2,9583	1,1623	2,8607
31.08.22	1,4896	3,9160	2,9126	3,4029	2,0498	2,4825	2,9859	6,1472	5,9875	0,7160	2,7343	2,9925	1,1849	2,9045

თარიღი	კანადური დოლარი	ამერიკულ დოლარი	ევროპული გირონგა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შეპელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგაზრდული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.08.22	2,1556	1,9332	1,4612	0,1544	2,0766	7,5285	0,6584	8,1382	2,0054	9,0160	4,1041	3,5225	3,4887	1,7407
02.08.22	2,1519	1,9349	1,4488	0,1533	2,0807	7,4827	0,6544	8,1237	1,9972	8,9641	4,0700	3,5012	3,4778	1,7403
03.08.22	2,1292	1,8974	1,4396	0,1527	2,0934	7,4628	0,6526	8,1297	1,9862	8,9461	4,0549	3,4919	3,4823	1,7231
04.08.22	2,1255	1,8933	1,4315	0,1522	2,0506	7,4413	0,6508	8,1222	1,9790	8,9116	4,0456	3,4818	3,4527	1,7083
05.08.22	2,1246	1,9038	1,4257	0,1516	2,0307	7,4174	0,6487	8,1449	1,9768	8,8801	4,0323	3,4706	3,4282	1,7196
06.08.22	2,1088	1,8883	1,4206	0,1513	2,0413	7,3994	0,6471	8,1623	1,9753	8,8672	4,0257	3,4622	3,4298	1,7087
07.08.22	2,1088	1,8883	1,4206	0,1513	2,0413	7,3994	0,6471	8,1623	1,9753	8,8672	4,0257	3,4622	3,4298	1,7087
08.08.22	2,1088	1,8883	1,4206	0,1513	2,0413	7,3994	0,6471	8,1623	1,9753	8,8672	4,0257	3,4622	3,4298	1,7087
09.08.22	2,1035	1,8925	1,4173	0,1511	2,0119	7,3893	0,6462	8,1684	1,9685	8,8523	4,0142	3,4575	3,4073	1,7039
10.08.22	2,1080	1,8910	1,4151	0,1510	2,0090	7,3782	0,6452	8,1920	1,9663	8,8302	4,0135	3,4523	3,4022	1,7051
11.08.22	2,1039	1,8882	1,4146	0,1508	2,0068	7,3744	0,6449	8,2233	1,9667	8,8257	4,0091	3,4516	3,4062	1,7094
12.08.22	2,1156	1,9171	1,4094	0,1504	2,0368	7,3553	0,6432	8,2932	1,9728	8,8172	4,0084	3,4434	3,3924	1,7333
13.08.22	2,1201	1,9206	1,4145	0,1508	2,0278	7,3752	0,6450	8,3536	1,9753	8,8324	4,0177	3,4562	3,4008	1,7426
14.08.22	2,1201	1,9206	1,4145	0,1508	2,0278	7,3752	0,6450	8,3536	1,9753	8,8324	4,0177	3,4562	3,4008	1,7426
15.08.22	2,1201	1,9206	1,4145	0,1508	2,0278	7,3752	0,6450	8,3536	1,9753	8,8324	4,0177	3,4562	3,4008	1,7426
16.08.22	2,1597	1,9589	1,4550	0,1552	2,0900	7,5897	0,6637	8,5394	2,0243	9,0893	4,1183	3,5574	3,5049	1,7735
17.08.22	2,1690	1,9605	1,4645	0,1560	2,0891	7,6284	0,6671	8,5372	2,0299	9,1267	4,1282	3,5733	3,5292	1,7711
18.08.22	2,1739	1,9482	1,4622	0,1560	2,0767	7,6286	0,6671	8,5982	2,0280	9,1297	4,1331	3,5732	3,5267	1,7652
19.08.22	2,1633	1,9373	1,4562	0,1552	2,0625	7,5935	0,6641	8,6012	2,0183	9,0850	4,1069	3,5553	3,5004	1,7521
20.08.22	2,1486	1,9237	1,4574	0,1541	2,0401	7,5981	0,6645	8,5181	2,0082	9,0758	4,0971	3,5571	3,4980	1,7345
21.08.22	2,1486	1,9237	1,4574	0,1541	2,0401	7,5981	0,6645	8,5181	2,0082	9,0758	4,0971	3,5571	3,4980	1,7345
22.08.22	2,1486	1,9237	1,4574	0,1541	2,0401	7,5981	0,6645	8,5181	2,0082	9,0758	4,0971	3,5571	3,4980	1,7345
23.08.22	2,1480	1,9273	1,4553	0,1539	2,0371	7,5949	0,6642	8,4917	1,9989	9,0689	4,0785	3,5558	3,4927	1,7298
24.08.22	2,1507	1,9261	1,4605	0,1544	2,0375	7,6232	0,6667	8,5410	2,0057	9,0968	4,0881	3,5681	3,5059	1,7304
25.08.22	2,1700	1,9450	1,4700	0,1553	2,0625	7,6755	0,6712	8,5909	2,0202	9,1592	4,1053	3,5929	3,5322	1,7423
26.08.22	2,2216	2,0016	1,4957	0,1580	2,1034	7,8151	0,6835	8,7249	2,0659	9,3259	4,1895	3,6582	3,5933	1,7900
27.08.22	2,2129	1,9974	1,4904	0,1574	2,0895	7,7887	0,6811	8,7916	2,0589	9,2943	4,1700	3,6459	3,5818	1,7771
28.08.22	2,2129	1,9974	1,4904	0,1574	2,0895	7,7887	0,6811	8,7916	2,0589	9,2943	4,1700	3,6459	3,5818	1,7771
29.08.22	2,2129	1,9974	1,4904	0,1574	2,0895	7,7887	0,6811	8,7916	2,0589	9,2943	4,1700	3,6459	3,5818	1,7771
30.08.22	2,1911	1,9647	1,4899	0,1573	2,0670	7,7885	0,6811	8,6057	2,0482	9,2850	4,1366	3,6453	3,5773	1,7513
31.08.22	2,2360	2,0157	1,5109	0,1598	2,1001	7,9077	0,6915	8,7863	2,0815	9,4333	4,2086	3,7009	3,6554	1,7950

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	გელთრუსული რუბლი	თურქმენული მანათი	ბოლდავური ლმი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდ	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.08.22	4,4581	1,6308	1,0981	7,9006	1,4324	6,7878	2,6992	0,2533	0,7491	0,5791	3,3566	1,6745	0,5334
02.08.22	4,3654	1,6167	1,0915	7,8526	1,4237	6,7528	2,6802	0,2516	0,7443	0,5726	3,2918	1,6683	0,5313
03.08.22	4,5401	1,6166	1,0886	7,8317	1,4199	6,7581	2,6691	0,2503	0,7422	0,5768	3,2979	1,6514	0,5286
04.08.22	4,5084	1,6119	1,0854	7,8091	1,4156	6,7465	2,5366	0,2499	0,7419	0,5753	3,2990	1,6326	0,5177
05.08.22	4,4985	1,6070	1,0819	7,7840	1,4111	6,7248	2,6567	0,2492	0,7395	0,5709	3,2786	1,6284	0,5157
06.08.22	4,4781	1,6029	1,0793	7,7651	1,4096	6,7023	2,6466	0,2481	0,7359	0,5698	3,2820	1,6332	0,5212
07.08.22	4,4781	1,6029	1,0793	7,7651	1,4096	6,7023	2,6466	0,2481	0,7359	0,5698	3,2820	1,6332	0,5212
08.08.22	4,4781	1,6029	1,0793	7,7651	1,4096	6,7023	2,6466	0,2481	0,7359	0,5698	3,2820	1,6332	0,5212
09.08.22	4,5071	1,6007	1,0778	7,7546	1,4070	6,6998	2,6389	0,2490	0,7349	0,5690	3,2802	1,6289	0,5255
10.08.22	4,4734	1,5983	1,0762	7,7429	1,4058	6,6892	2,6349	0,2491	0,7338	0,5655	3,3015	1,6284	0,5301
11.08.22	4,4684	1,5974	1,0757	7,7389	1,4062	6,6797	2,6376	0,2488	0,7347	0,5662	3,2760	1,6407	0,5284
12.08.22	4,4509	1,5936	1,0729	7,7189	1,4035	6,6685	2,6364	0,2478	0,7315	0,5667	3,2854	1,6699	0,5305
13.08.22	4,4083	1,5979	1,0762	7,7397	1,4089	6,6886	2,6442	0,2480	0,7353	0,5679	3,2925	1,6633	0,5253
14.08.22	4,4083	1,5979	1,0762	7,7397	1,4089	6,6886	2,6442	0,2480	0,7353	0,5679	3,2925	1,6633	0,5253
15.08.22	4,4083	1,5979	1,0762	7,7397	1,4089	6,6886	2,6442	0,2480	0,7353	0,5679	3,2925	1,6633	0,5253
16.08.22	4,5180	1,6444	1,1075	7,9649	1,4500	6,8832	2,7211	0,2555	0,7570	0,5852	3,3892	1,7012	0,5493
17.08.22	4,5530	1,6527	1,1131	8,0054	1,4578	6,9203	2,7324	0,2559	0,7587	0,5879	3,4001	1,7030	0,5498
18.08.22	4,6296	1,6527	1,1131	8,0054	1,4580	6,9246	2,7363	0,2554	0,7587	0,5876	3,4015	1,6900	0,5443
19.08.22	4,6679	1,6452	1,1081	7,9689	1,4505	6,8867	2,7225	0,2549	0,7569	0,5857	3,3863	1,6669	0,5399
20.08.22	4,7073	1,6462	1,1087	7,9737	1,4507	6,8929	2,7241	0,2554	0,7597	0,5857	3,4132	1,6420	0,5399
21.08.22	4,7073	1,6462	1,1087	7,9737	1,4507	6,8929	2,7241	0,2554	0,7597	0,5857	3,4132	1,6420	0,5399
22.08.22	4,7073	1,6462	1,1087	7,9737	1,4507	6,8929	2,7241	0,2554	0,7597	0,5857	3,4132	1,6420	0,5399
23.08.22	4,6768	1,6409	1,1083	7,9703	1,4474	6,8893	2,7236	0,2552	0,7554	0,5891	3,3865	1,6364	0,5396
24.08.22	4,6521	1,6513	1,1119	8,0000	1,4484	6,9264	2,7267	0,2570	0,7583	0,6001	3,4032	1,6425	0,5428
25.08.22	4,6716	1,6630	1,1196	8,0549	1,4562	6,9803	2,7512	0,2588	0,7634	0,6080	3,4699	1,6532	0,5521
26.08.22	4,7735	1,6932	1,1399	8,2014	1,4832	7,1008	2,8013	0,2632	0,7772	0,6143	3,5547	1,7051	0,5617
27.08.22	4,7421	1,6828	1,1361	8,1737	1,4777	7,0290	2,7986	0,2621	0,7746	0,6022	3,4743	1,6982	0,5599
28.08.22	4,7421	1,6828	1,1361	8,1737	1,4777	7,0290	2,7986	0,2621	0,7746	0,6022	3,4743	1,6982	0,5599
29.08.22	4,7421	1,6828	1,1361	8,1737	1,4777	7,0290	2,7986	0,2621	0,7746	0,6022	3,4743	1,6982	0,5599
30.08.22	4,6860	1,6871	1,1361	8,1734	1,4769	7,0801	2,7858	0,2621	0,7746	0,6040	3,4777	1,6912	0,5649
31.08.22	4,7812	1,7137	1,1534	8,2986	1,5011	7,1870	2,8428	0,2665	0,7876	0,6131	3,5419	1,7298	0,5775

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

